ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს

№43 (1553) 6–8 მაისი, 1997 წელი

## ჰალსტუხიანის უკან თოფიანი ყარაულიც დგას...

2




### ბაბენკოვი სამშვიდობო ოპერაციას ვერ უხელმძღვანელებს

გუშინ მოსკოვში დახურულ კარს მიღმა გაიმართა რუსეთისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრების შეხვედრა. საუბარი შეეხო მოსკოვის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას. ვარდიკო ნადიბაიძის თქმით, საქართველოს პრეზიდენტი და პარლამენტი კატეგორიულად სვამენ საკითხს სამშვიდობო ოპერაციის გაფართოების შესახებ, რადგან სამიტის გადაწყვეტილებების ბლოკირება „სეპარატისტთა წისქვილზე ასხამს წყალს". მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამშვიდობო ოპერაციის გაფართოებას გალის რაიონის მთელ ტერიტორიაზე უხელმძღვანელებს არა მისი სარდალი ბაბენკოვი, არამედ სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიქმნა თანამეგობრობის სამხედრო-საკოორდინაციო შტაბში. დღეს ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველი მინისტრი შეხვდება რუსეთის პრემიერ-მინისტრს, რომელსაც სამიტის გადაწყვეტილებით დაკისრებული აქვს დსთ-ის ტერიტორიაზე კონფლიქტების დარეგულირების ხელმძღვანელობა. (ბი ჯი აი)

## ღარიბაშვილს საქმე გამოუჩნდა, ელოდეთ მისგან მორიგ კურიოზებს!..

„ამ საქმეს ქართლოს ღარიბაშვილმა მოჰკიდა ხელი" – იუწყება „დილის გაზეთის" 2 მაისის ნომერში გამოქვეყნებული მასალა, რომელიც შეეხება გახმაურებულ ფაქტს – 14 მარტის ყაჩაღურ თავდასხმას ფირმა „ომეგას" თანამშრომლებზე. წინასწარი გამოძიების მიხედვით, ამ ყაჩაღობის ორგანიზებაში ბრალი ედება ფირმა „ელიზის" პრეზიდენტს თამაზ ელიზბარაშვილს, რომელიც ამჟამად დაკავებულია. გარკვეული პიროვნებანი ყოველ ღონეს ხმარობენ ამ საქმის ჩასაფარცხავად და მთავარი ორგანიზატორის გამოსახსნელად, მაგრამ ჯერჯერობით ამას ვერ მიაღწიეს. ახლა, ეტყობა, მთელ იმედს ამყარებენ ბატონ ღარიბაშვილზე, საქართველოს პრეზიდენტობის ექს-კანდიდატზე.

ჟურნალისტებთან მისი შეხვედრის ამსახველი ეს მასალა კარგად წარმოაჩენს ქართლოს ღარიბაშვილის მორალურ სახეს, ყოველი მისი ფრაზა გაჟღენთილია იმ სიცრუითა და ცილისწამებით, რაც სულ არ გვეიკვირს ამ ექს-კანდიდატისაგან. აქ მხოლოდ ერთ გარემოებაზე მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას. ექს-კანდიდატი ირწმუნება, რომ – „ელიზმა" და მისმა პრეზიდენტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს იმ კანონის მომზადებაში, რომლის საფუძვლად ბიუჯეტში დღემდე საკმაოდ სოლიდური თანხები შედის. ბიუჯეტის შვიდი მილიონი ლარით შევსება თამაზ ელიზბარაშვილის პირდაპირი დამსახურებაა".

მართლა ასეც რომ იყოს, ყაჩაღთა ბანდის ორგანიზატორობას, რაშიც იგია ეჭვმიტანილი, ეს ვერც გაამართლებს და ვერც გაბათილებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ბატონ ღარიბაშვილის ამ ცნობასაც არავითარი საერთო არა აქვს სინამდვილესთან.

„ელიზის" პრეზიდენტის წვლილისა ექსპერიმენტის კანონის მომზადებაში რა მოგახსენოთ, ხოლო გადარიცხა თუ არა



ამ ფირმამ შვიდი მილიონი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტში, ამას ყველაზე უკეთესად გვიჩვენებს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის წლევანდელი 2 მაისის მონაცემები.

3

### ვისთვის ან რისთვის ინახავს გიორგაძეს რუსეთი

გაზეთ „ახალ თაობაში" დაბეჭდილ იგორ გიორგაძის ინტერვიუსთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა ორშაბათის რადიოინტერვიუში აღნიშნა, რომ იგი თხოვს სხვა გაზეთებსაც, კერძოდ, „საქართველოს რესპუბლიკას", ინტერვიუ თავიანთ ფურცლებზე გადმობეჭდონ. „მე მხოლოდ ერთი გარემოება მაღელვებს, ვისთვის ან რისთვის ინახავს რუსეთი ასე სათუთად ცნობილ ტერორისტებს, კერძოდ, იგორ გიორგაძეს. რატომ აყენებს რუსეთი ორი ქვეყნის ურთიერთობებზე უფრო მაღლა ცნობილი დამნაშავის ინტერესებს" – განაცხადა ე.შევარდნაძემ. (იფრინდა)

### იზღუდება თავისუფალი პრესა

დღეიდან ძალაში შედის თბილისის მთაწმინდის რაიონის ადმინისტრაციის ბრძანება რუსთაველის პროსპექტზე და თავისუფლების მოედანზე ქუჩაში გაზეთებით ვაჭრობის აკრძალვასთან დაკავშირებით.

ამ ფაქტთან დაკავშირებით დღეს სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი კერვალიშვილმა საპროტესტო განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ აღნიშნული ბრძანება ზღუდავს თავისუფალ პრესას, რაც ყოვლად მიუღებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის.

### მუჩაიძეს თავისუფლების აღკვეთით ემუქრებიან

გაზეთ „ახალი თაობისათვის" მიცემულ ინტერვიუში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა გურამ მუჩაიძემ ისაუბრა შეთქმულების შესახებ, რომელიც, მისი თქმით, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული ფრთის წინააღმდეგ მზადდება. მისივე თქმით, დაგეგმილია ლარის კატასტროფული დაცემა, რაც მოქალაქეთა კავშირის ფინანსურ სტრუქტურებში გასულ ახალგაზრდულ ფრთას დაბრალდება.

საქართველოს პროკურატურის პრეს-ცენტრის ცნობით, მუჩაიძე ვალდებულია წარმოადგინოს თავისი განცხადებების დამამტკიცებელი საბუთები. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად მას თავისუფლების აღკვეთა დაემუქრება. (ბი ჯი აი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლენი ფიშერმა უარი თქვა კომენტარზე

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ევროსაბჭოს საპარლამენტთაშორისო ასამბლეის პრეზიდენტი ლენი ფიშერი, რომელიც ვიზიტით იმყოფება საქართველოში. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ამიერკავკასიის რეგიონში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას და ეროვნებათაშორის კონფლიქტებს. შეხვედრის შემდეგ BGI-ის კორესპონდენტმა კითხვით მიმართა ლენი ფიშერს - საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ შეიცვალა თუ არა მისი წარმოდგენები აჭარაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. გარკვეული მოსაზრებების გამო ლენი ფიშერმა უარი განაცხადა ამ თემაზე საუბარზე. (ბი ჯი აი)

## ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს პარლამენტს ფინანსთა და მრეწველობის მინისტრთა კანდიდატები წარუდგინა

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა წერილებს პარლამენტის სახელზე, ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე მიხეილ ჭკუასელის, ხოლო მრეწველობის მინისტრის თანამდებობაზე თამაზ აგლაძის წარდგენის შესახებ. პრეზიდენტის მხრიდან კანდიდატურების წარსადგენი ყველა პროცედურა, ამჟერად, დაცულია - აღნიშნა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა BGI-ის კორესპონდენტთან საუბარში. საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის ჯონი ხეცურიანის თქმით, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად საპარლამენტო კომიტეტები ორივე კანდიდატურას განიხილავენ, რის შემდეგაც კანდიდატურები პარლამენტის ბიუროს გადაეცემა. სწორედ ბიურომ უნდა გასცეს პასუხი პრეზიდენტის წერილებს და მინისტრების თანამდებობებზე კანდიდატურების დამტკიცება უნდა შეიტანოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში. (ბი ჯი აი)

## დღეს სამი ქართველი ერთ აფხაზზე გაიცვლება

BGI-ის კორესპონდენტს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველმა მოადგილემ ავთანდილ იოსელიანმა აცნობა, რომ დღეს ქართულ და აფხაზურ მხარეს შორის სამხედრო ტყვეთა გაცვლის პროცესი გრძელდება. მიღწეული შეთანხმების თანახმად სამი ქართველი ერთ აფხაზზე გაიცვლება. დღესვე აფხაზეთიდან თბილისში გადმოასვენებენ 20 ქართველი მებრძოლის ცხედარს. ავთანდილ იოსელიანის თქმით, მან თხოვნით მიმართა აფხაზეთის ხელისუფლებას, გამოიჩინოს კეთილი ნება და შეიწყალოს სამხედრო ტყვე რუზგენ გოგოხია. (ბი ჯი აი)

# ვინ ვინ არის

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

## კახა თარგამაძე: ჰალსტუხიანის უკან თოფიანი ყაჩაღიც დგას...

საუბრობენ შინაგან საქმეთა მინისტრი **კახა თარგამაძე** და გაზეთ „საქართველოს“ მთავარი რედაქტორი **ნოდარ გრიგალაშვილი**

**ნ.გ.** – *მივადექით ისეთ მძიმე საკითხს, როგორიც არის კორუფცია და ისეთ ბუნდოვან საკითხს, როგორიცაა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. ადამიანი, მოგეხსენებათ, ვინაიდან ბიოლოგიური არსებაც არის, კვება სჭირდება. კვებას სახსარი, ფული სჭირდება. სამწუხაროდ, ობიექტური და ზოგჯერ სუბიექტური მიზეზების გამოც ჩვენს ქვეყანას არ აქვს საშუალება იმისა, რომ დაარიგოს ხელფასებად და პენსიებად იმ საარსებო მინიმუმის სამყოფი თანხა მაინც, რაც ადამიანს ესაჭიროება. როდესაც ლაპარაკია, ვთქვათ, პენსიაზე, რომელიც 8 ლარია და გნებავთ, 16 ლარი, გნებავთ, 32 იყოს (ოცდათორმეტი რვასაც ჯობია და თექვსმეტსაც), მაგრამ თუ ადამიანის საარსებო მინიმუმს 100 ლარი სჭირდება, ოცი დღის განმავლობაში ამ ადამიანმა უნდა იშიმშილოს და 10 დღე იკვებოს თავი? აი, ასეთი დილემის წინაშე დგას საზოგადოება. ბუნებრივია, ეს პრობლემა ობიექტურად წამოჭრის ადამიანში სახსარის ძიების დაუცხრომელ ჟინს. თვითგადარჩენის ინსტინქტი არის უძლიერესი თითოეულ პიროვნებაში. აქედან გამომდინარე, როგორც იტყვიან, ყველა რაღაცას ჩალიჩობს, ანუ, აქედან გამომდინარე, ყველა პატარ-პატარა დამნაშავეა ამ ქვეყნის წინაშე. რაკი ოფიციალური ხელფასი ადამიანს არ ყოფნის და იძულებულია რაღაც მოაკვარახჭინოს, ხვალ ეს კაცი შესაძლოა პასუხისმგებელი აღმოჩნდეს სამართალდამცავი ორგანოების წინაშე, ანუ იქმნება შეშინებული ადამიანის სინდრომი. ასეთი იყო საბჭოთა მოქალაქე. საბჭოთა კავშირის დროს ხელფასები ცოტა იყო, მაგრამ რაღაცას იპარავდა მოსახლეობა, ზოგი ცემენტს იპარავდა ობიექტიდან, ზოგი რას და ზოგიც რას. ეს მენტალიტეტი დარჩა დღესაც. არსებობისათვის მებრძოლი ადამიანი მისდა უნებლიედ ხდება დამნაშავე, ანუ თანდათანობით კარგავს პიროვნება იმის უფლებას, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ხმა ამოიღოს და თავისი პიროვნული ღირსებები დაიცვას. ის უკვე შეშინებული ადამიანია. აი, ასეთ ვითარებაში, ასეთ ატმოსფეროში, მე არა მგონია, რომ რამეს ვამუქებდე, შექმნილია კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი შტაბი, თუ რაც ჰქვია მას, არ ვიცი ზუსტად. ერთ-ერთი ძალიან დიდი თანამდებობის პირი, რომელიც ამ შტაბის წევრია, ბრძანდებით თქვენც. ეს პირობები, რაც მე მოგახსენეთ, გიქმნით თუ არა დისკომფორტს, ყველაფერ ამის შესახებ სახელმწიფო ფიქრობს თუ არა, ბოლოს და ბოლოს?*

**კ.თ.** – ბ-ნ ნოდარ, მე თქვენი კითხვა კარგად გავიგე. კითხვას ორ ნაწილად გავყოფ. შეიძლება თუ არა იმას, რომ ადამიანი იბრძვის თავისი არსებობისათვის, განვიხილავდეთ იმ კონტექსტში, რასაც კორუფცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა ჰქვია? კორუფციასთან ბრძოლა შედარებით რთული თემაა სასაუბროდ. ეს არის ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი სახეობა. მე არაერთხელ მითქვამს ჩემს გამოსვლებში, რომ საქართველოში კორუფციაზე კანონი არ არსებობს. არსებობს კანონთა კრებული, რომლის მეშვეობით ჩვენ ვებრძვით ამა თუ იმ დანაშაულს. ეს არის მექრთამეობა, ეს არის ფულის გამოძალვა, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, ეს არის სახელმწიფო ქონების დატაცება, ადამიანის გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით, ეს არის ჯაჭვი იმისა, რაც შესაძლებელია გვირგვინდებოდეს კორუფციით. ამ თემაზე, მე კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, ძალიან რთულია საუბარი. როდესაც ვმსჯელობთ ხოლმე, ცოტა სხვანაირად იგებენ ამ მომენტს და ხშირად ამბობენ - არის თუ არა კორუფცია ესა და ეს დანაშაული? საქმე იცით, რაშია? მე ერთხელ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, არ შეიძლება, ვთქვათ, კორუფცია უწოდო იმას, რომ თუნდაც პოლიციელმა, ვიღაცას გამოსძალა 1 ან 2 ლარი, ეს არის სულ სხვა დანაშაული...

ოპონენტებმა ჩემი ეს ფრაზა რატომღაც ისე „გაიგეს“, რომ მინისტრი 1–2 ლარის გამოძალვის უფლებას აძლევს პოლიციელებსო. არა, ბატონო, ვიმეორებ, ეს დანაშაულია, მაგრამ ეს არ არის კორუფცია.

იმისათვის, რომ გავიგოთ, რა არის კორუფცია, უნდა ვიცოდეთ მისი არსი. ამიტომაც მე ვამბობ, კორუფცია არის ორგანიზებული დანაშაული. ეს არის პირთა ჯგუფი, რომელშიც ყველა თავ-თავისი შესაძლებლობისა და საშუალების ფარგლებში რაღაც მოქმედებას ასრულებს საბოლოო შედეგის მისაღწევად. მოკლედ რომ ვთქვათ, ამაში შეიძლება ჩარეული იყვნენ დიდი თანამდებობის პირები. ასევე შეიძლება ჩარეული იყოს კრიმინალური სამყარო და ყველა შემთხვევა უნდა იქნას განხილული. მაგალითს მოგიყვანთ, ვთქვათ, არის რაღაც საკითხი გადასაწყვეტი. რომელიღაც თანამდებობის პირი აღმასრულებელ ხელისუფლებაში ამ საკითხს უკეთებს ბლოკირებას, თუმცა, საკითხი გასატანია პარლამენტში, ხოლო თუ გაიტანენ, იქ გარკვეული პირთა ჯგუფი უკეთებს საკანონმდებლო ბლოკირებას ამ კანონს. არის გარკვეული წარმოებები და დაწესებულებები, რომლებიც ამ ბლოკირების შედეგით მიიღებენ სერიოზულ შემოსავალს, ამის შემდეგ არის პირთა ჯგუფი, რომლებიც ფინანსებით განახორციელებენ კონკრეტულ მოქმედებებს. არის იმ პირთა ჯგუფიც, რომლებიც ასრულებენ კონკრეტულ დავალებებს და გარდა ამისა, შესაძლებელია იყოს დამნაშავეთა სამყარო, მათ შორის დამნაშავეთა სამყაროს ლიდერები, რომლებიც დანაშაულებრივი გზებით უწყობენ ხელს მთელ ამ პროცესს, იგივე ტერორის, გამოძალვის, გატაცების თუ სხვა სახით. შესაძლებელია ამ დანაშაულებრივ ჯგუფში მონაწილეობდენ სხვადასხვა რანგის ადმინისტრაციული ხელმძღვანელებიც კი, რომლებიც უზრუნველყოფას უკეთებენ დანაშაულის უსაფრთხოებას. მე ვცდილობ ყოველივე ეს უბრალოდ ავხსნა. კანონის ენით არ ვილაპარაკო, მითუმეტეს, როგორც მოგახსენეთ, დღესდღეობით სრული კანონმდებლობა ამ მხრივ არ გაგვაჩნია. მაგრამ ცალკეული ელემენტები სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს, რომლითაც ჩვენ ვებრძვით ამ დანაშაულს.

ასე რომ, კორუფცია სხვაა, კონკრეტული პირის დანაშაულებრივი გადაცდომა არსებობისათვის ბრძოლაში სხვა, შუა უზით დიდი ზღვარი...

ახლა რაც შეეხება საერთოდ ამ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, რამდენად არის შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩართული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. გუშინ და გუშინწინ ძალიან რთული იყო ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, როდესაც იმდენად იყო აღზევებული დამნაშავეთა სამყარო, რომ მათ იძულებითი გზითაც კი მიყავდათ იგივე მეწარმეები და სხვა პირები კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის ჩადენისკენ, მაგრამ დადგა დრო, როდესაც სახელმწიფომ უნდა გამოუცხადოს ბრძოლა კორუფციას, რათა არ მოხდეს ამ დანაშაულის იმ დონეზე დანერგვა საქართველოში, რომელთანაც ბრძოლა ხვალ და ზეგ ძალიან რთული იქნება. მე არ მინდა ძალიან დავამძიმო სიტუაცია, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს უკვე შეუძლებელიც კი იქნება. როდესაც ამ პირებს ფინანსური საშუალებები გაუჩნდებათ, უჩნდებათ პოლიტიკური ამბიციები და ამ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხებით შეძლებენ ხელისუფლებაში მოსვლას. ზუსტად ამასთან მქონდა საქმე, როდესაც ვლაპარაკობდი იმაზე, რას წარმოადგენდა მხედრიონი. მხედრიონმა ეს გარკვეულწილად მოახერხა. ფაქტობრივად ისინი უკვე მართავდნენ პროცესებს. თავიანთი ხალხი ჰყავდათ ადმინისტრაციულ ორგანოებში, ადგილობრივ ხელისუფლებაში ამკვიდრებდნენ თავიანთ ხალხს, საკანონმდებლო ორგანოშიც გაჰყავდათ თავიანთი ხალხი. ამასთან, გადაწყვიტეს, რომ დანაშაულებრივი ხერხებიც გამოეყენებინათ, რათა გაეადვილებინათ ხელისუფლებაში მოსვლა. ზუსტად ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მოტივი ტერორისტული აქტებისა, რომლებიც ჩატარებული იქნა ჩვენს სახელმწიფოში და რომლებიც უამრავი იქნებოდა, რომ ამას დროზე არ მოღებოდა ბოლო. საბედნიეროდ, ჩვენ მოვახერხეთ და პირველი ეტაპი, შედარებით მძიმე, დიდი დანაკარგებით, დიდი წვალებით და სისხლის ფასად, მაგრამ მაინც დავძლიეთ. ახლა არის მეორე ეტაპი, რაც გამოიხატება იმაში, რომ ყოველივემ უკვე შენიღბული დანაშაულის სახე მიიღო და შენიღბულ დანაშაულს უნდა ებრძოლო ოპერატიული გზით.

**ნ.გ.** – *სხვანაირად რომ ვთქვათ, თოფიანი ყაჩაღი შეცვალა ჰალსტუხიანმა ყაჩაღმა, არა?*

**კ.თ.** – მარტო ჰალსტუხიანმა არა, ჰალსტუხიანის უკან შეიძლება თოფიანი ყაჩაღი იყოს, შეიძლება ძალიან ორგანიზებული დაჯგუფება, რომლებიც ასე ზედაპირზე არ გამოჩნდებიან და ჟივილ-ხივილით, პირდაპირ ავტომატებით არ ივლიან, მაგრამ მათ შეუძლიათ ანგარიშსწორებები ურთიერთშორის და არასასურველი პირების მოშორება ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №30-41.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვარდიკო ნადიბაიძემ შეიძლება...

4 მაისს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის საგანგებო დავალებით ქვეყნის თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე მოსკოვს გაემგზავრა. იგი მოლაპარაკებებს გამართავს რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით. ოფიციალური წყაროების ცნობით მინისტრს დავალებული აქვს, პრინციპულად დასვას საკითხი აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის გალის მთელ რაიონზე გავრცელებასთან დაკავშირებით. გუშინ ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ შეიძლება დააყენოს აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლის დოლია ბაბენკოვის უფლებამოსილების საკითხი. (ბი ჯი აი)

## აჭარის ხელისუფლებამ სტუმრებს შესჩივლეს

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ლენი ფიშერი, რომელიც ვიზიტით იმყოფება თბილისში. ფიშერის თქმით, საქართველოში მალე ჩამოვლენ ევროსაბჭოს იურისტები საქართველოს კანონმდებლობის შესწავლის მიზნით. იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება იგი ევროპულ კანონმდებლობას, ბევრადაა დამოკიდებული გადაწყვეტილება საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების შესახებ - აღნიშნა ლენი ფიშერმა.

ზურაბ ჟვანიამ სტუმარს გააცნო საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური და სასამართლო რეფორმების მსვლელობა. საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ავტონომიების თანამშრომლობაზე საუბრისას ჟვანიამ სტუმარს აჭარის ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მაგალითი მოუყვანა და აღნიშნა, რომ გარკვეული ძალები ამ რეგიონში ვითარების დაძაბვას ცდილობენ. ფიშერმა აუწყა პარლამენტის თავმჯდომარეს, რომ ევროსაბჭომ გადაწყვიტა არ ჩართოს ბათუმი კონფლიქტების კერების სიაში სოხუმსა და ცხინვალთან ერთად ბოლო დროს სტრასბურგში მიღებულ რეზოლუციაში აფხაზეთთან დაკავშირებით. საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ბერნარ ფასიემ განაცხადა, რომ აჭარაში ვითარების დაძაბვით დაინტერესებული არიან რუსეთის გარკვეული ძალები, რასაც რუსეთის პრესაც უწყობს ხელს. გერმანიის ელჩმა საქართველოში ნორბერ ბაასმა აღნიშნა, რომ აჭარის ხელისუფლების წარმომადგენლებმა შესჩივლეს მას აჭარის არათანაბარი მდგომარეობის შესახებ დანარჩენ საქართველოსთან, რის გამოც მნიშვნელოვნად ჩამორჩება იგი ეკონომიურად. ამის საპასუხოდ ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ აჭარაში არსებულ ვითარებას საქართველოს ხელისუფლება არ ხატავს იდეალურად, მაგრამ მისი აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტების დონეზე დაყენებაც არ შეიძლება. (ბი ჯი აი)

## ღარიბაშვილს საქმე გამოუჩნდა, ელოდეთ მისგან მორიგ კურიოზებს!..

პირველი გვერდიდან

თვალსაჩინოებისათვის გავეცნოთ ცხრილს:

1996 წ.

| | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|
| ელიზი | 429,600 | 859,200 | 722,400 |

1997 წ.

| | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი |
|---|---|---|---|---|
| ელიზი | 548,991 | 401,200 | 1,030,950 | 9,000 |

სულ 1996–97 წ.წ.

| | |
|---|---|
| ელიზი | 4,001,341 |

მაშასადამე, ფირმა „ელიზს" სახელმწიფო ბიუჯეტში საბაჟო გადასახადის სახით შეუტანია 4.001.341 (ოთხი მილიონ ათას სამას ორმოცდაერთი) ლარი.

როგორც ხედავთ, ეს 4 მილიონი ლარი ბატონმა ღარიბაშვილმა კვერთხის ჯადოსნური მოქნევით 7 მილიონად აქცია. ეტყობა, მისთვის 3 მილიონი ლარი ბევრს არაფერს ნიშნავს, აქეთ იქნება თუ იქით, სულერთია. ყოველ შემთხვევაში, ამ სამი მილიონი ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანა ქართლოს ღარიბაშვილის „პირდაპირი დამსახურებაა", ალბათ, თავისი ჯიბიდან თუ დაუმატა.

რაც შეეხება შეხვედრის ბოლოს გამოთქმულ მის „აზრს" აჭარის ხელისუფლების მისამართით, ეს იმდენად ოდიოზურია, გამეორებაც კი არ შეიძლება.

ნინო თალაკვაძე

## „მოქალაქეები" მითითების გარეშე ვერ წყვეტენ ვერაფერს და იბნევიან...

### ინტერვიუ სახალხო ფრაქციის თავმჯდომარე მამუკა გიორგაძესთან

*- რალაც წყნარად მიდის საპარლამენტო ცხოვრება აფხაზეთზე ალარაფერს იტყვით?*

- მომავალ საპარლამენტო კვირის პირველსავე დღეს მოვითხოვთ ამ საკითხის დღის წესრიგში შეტანას და ვილაპარაკებთ კიდეც. ერთი თვე გავიდა კონცეფციის ჩამოყალიბების შემდეგ და დროა მოქალაქეთა კავშირი ჩამოყალიბდეს.

*- რით ველარ ჩამოყალიბდა?*

- უმრავლესობის შექმნის პრინციპი იყო და არის ერთი პიროვნების გარშემო დარაზმვა. თითოეული მათგანი ცალ-ცალკეა მიბმული შევარდნაძეზე. ეს არც იდეოლოგიაა და არც პოლიტიკა.

*- მაგრამ მათში რომ აშკარა სხვადასხვა მიმდინარეობები არსებობს?*

- ამიტომაც არაა გასაკვირი ეს მიმდინარეობები, რადგან სხვადასხვა პოლიტიკური პრინციპების და აზრის მქონე ხალხია ერთად შეყრილი.

*- ზურაბ ჟვანიამ ხომ გაიტანა კონცეფცია?*

- ალბათ, ასეთი დავალება ჰქონდა შევარდნაძისაგან.

*- მაგრამ სხვები რატომ იყვნენ წინააღმდეგები და ერთი ამბავი ატეხეს?*

- ამ შემთხვევაში, ეტყობა, არ ჰქონდათ ყველასათვის სავალდებულო მითითება მიცემული. ეგენი მითითების გარეშე ვერ წყვეტენ ვერაფერს და იბნევიან.

*- მიხეილ ჭკუასელის დანიშვნაზე ფინანსთა მინისტრად რას იტყოდით?*

- იგი თავიდანვე უკანონოდ არის დანიშნული, რადგან არ ყოფილა პარლამენტის დასტური. ეს საკითხი პარლამენტში არ შემოსულა. რაც შეეხება ჩვენს შეხედულებას, პიროვნება თავისი მოღვაწეობით განიხილება. ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია, რა პრინციპებით აპირებს მიხეილ ჭკუასელი ფინანსთა სამინისტროში პოლიტიკის გატარებას.

*- დავით იაკობიძე?*

- იგი შევარდნაძის პოლიტიკის გამტარებელი იყო და ამდენად ჩვენთვის მიუღებელი.

*- ჭკუასელიც ხომ „მოქალაქეა", თანაც ძალიან ახალგაზრდა?*

- მისი განვლილი გზაც არ გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ ამ ასპარეზზე იგი სერიოზულ წარმატებებს მიაღწევს. ყველაზე პატარა რეგიონის ხელმძღვანელი იყო და ყველაზე მცირე ბიუჯეტიც კი ვერ შეასრულა. მაგრამ ყველაზე დიდი აპარატი ჰქონდა სხვებთან შედარებით. ასეთი მონაცემები არ გვაძლევს საშუალებას კენჭისყრის დროს დადებითად განვეწყოთ მის დასამტკიცებლად.

*- გამოდის, რომ არის საშიშროება იგი*



*უფრო გამოცდილი ხალხის ხელში მარიონეტად იქცეს?*

- შევარდნაძე ისე არავის დანიშნავს, თუ გარანტია არა აქვს, რომ კაცი მისი ნების უსიტყვო შემსრულებელი იქნება. ასევე, ალბათ, ბევრი შეეცდება გამოიყენოს ჭკუასელის გამოუცდელობა.

*- აბა თქვენ ვინ გსურდათ ფინანსთა მინისტრად?*

- გურამ ჩახვაძე ან მიხეილ ჯიბუტი, ისიც ნორმალური მთავრობის პირობებში.

*- აფხაზეთის საკითხის და კონცეფციის გარდა მომავალ საპარლამენტო კვირაში კიდევ რას მოითხოვთ?*

- პირველ რიგში შევარდნაძემ მოხსენება უნდა გააკეთოს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მან წინა წელსაც აარიდა თავი ანგარიშში გაეკეთებინა, ეს კონსტიტუციის უხეში დარღვევაა. ახლა ვითხოვთ, რომ მან წარმოადგინოს 1996 წლის ბიუჯეტის ანგარიში და აღასრულოს თავისი მოვალეობა ქვეყნისა და კონსტიტუციის წინაშე.

*- კიდევ?*

- კიდევ 1995 წლის ბიუჯეტიდან 92 მილიონი ლარის საკითხზე პროკურატურამ უნდა გადასცეს მასალები პარლამენტს. სხვაც ბევრი საინტერესო იქნება, რასაც იქეთა კვირის პარლამენტის სხდომებზე თქვენ თვითონ იხილავთ.

*- გმადლობთ.*

მანანა იაშვილი

## აფხაზეთის პრობლემა კრიტიკულ წერტილს უახლოვდება

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გუშინ, ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა, რომ, სამწუხაროდ, მოსკოვის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების სისრულეში მოსაყვანად თითიც არავის გაუნძრევია - არც რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლობას და არც მათ, ვინც სამშვიდობო ძალებს მართავს მოსკოვიდან. მდგომარეობა კრიტიკულ წერტილს უახლოვდება. მანდატის ვადა იწურება და აფხაზეთში სამშვიდობო ძალების ყოფნა პრობლემატურ ხასიათს იღებს, ხოლო შეუძლებელი გახდება, თუ საქართველოს თავდაცვის მინისტრი უარყოფითი შედეგებით დაბრუნდება მოსკოვიდან. ედუარდ შევარდნაძის თქმით, აფხაზეთთან აუცილებელია მოლაპარაკება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შევძლოთ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის შენარჩუნება კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გასვლის შემდეგ და როგორ დაჩქარდეს სამშვიდობო პროცესი მეორე ეტაპზე. საქართველოს პრეზიდენტს ეს სავსებით შესაძლებლად მიაჩნია. (ბი ჯი აი)

## იმედია არ გადაიქცევა ფარსად

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო დსთ-ის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის გენერალური მდივანი მიხეილ კროტოვი. განიხილეს თანამეგობრობის ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოების თანამშრომლობის საკითხები. შეხვედრის შემდეგ კროტოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი ვიზიტის მიზანია - საქართველოს ხელისუფლებას ინფორმაცია მიაწოდოს საპარლამენტთაშორისო ასამბლეის მომავალი გეგმების, კერძოდ საპარლამენტთაშორისო ასამბლეის პლენარული სხდომის, დსთ-ის ასამბლეისა და ევროსაბჭოს საპარლამენტთაშორისო ასამბლეის ერთობლივი სხდომისა და სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკური ფორუმის შესახებ. აფხაზეთის საკითხთა კომისიის მუშაობაზე საუბრისას კროტოვმა იმედი გამოთქვა, რომ იგი კონფლიქტის დარეგულირებაში რეალურ შედეგებს მოიტანს და არ გადაიქცევა ფარსად. (ბი ჯი აი)

## შუამავალი ვარშავაში გაემგზავრა

გუშინ ვარშავაში გაემგზავრა ცხინვალის ხელისუფლების პრესის მინისტრი ბატრას ხარებოვი. BGI-ის კორესპონდენტთან სატელეფონო საუბარში მინისტრმა განაცხადა, რომ კონფერენციაზე იგი შუამავლის როლშია მიწვეული, რადგან განსაკუთრებით კარგი ურთიერთობები აქვს როგორც ქართველ, ასევე აფხაზ ჟურნალისტებთან. ეუთოს, რომლის ეგიდითაც იმართება აღნიშნული შეხვედრა, იმედი აქვს, რომ ხარებოვი დიდ წვლილს შეიტანს მხარეებს შორის დიალოგის დადებითად წარმართვაში. (ბი ჯი აი)

# უსწავლელთა თარეში სახელმწიფოს საჭესთან

## ფედერალიზაციის გეგმა ანტიმეცნიერულია, ფედერალიზაციის გეგმა ანტიქართულია

ნოდარ ნათაძე

ბ) მეორე და თითქოსდა ამავე მიმართულებით მოქმედი განსხვავება შემდეგი: როგორც ვიხილეთ ზემოთ, გერმანიაში არსებობს ფენა (ან ფენები), რომლებიც დეცენტრალიზაციას ესწრაფვიან, ლანდების ყოფილი მმართველი ბიუროკრატიის სახით, საქართველოში კი ასეთი ფენა არ არსებობს. მაგრამ იგივე ფაქტი მეტყველებს, რომ დეცენტრალიზაციის მომხრე ფენა საქართველოშიც შეიძლება გაჩნდეს და აუცილებლად გაჩნდება, როგორც კი ფედერაციის მმართველი ადგილობრივი ბიუროკრატია ჩაისახება (ეს პროგნოზი სოციალურ სფეროს ეკუთვნის). ამ ალბათობისა და ამ ბიუროკრატიის შეფარდებითი ძალის შესაფასებლად აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას მისი კორუმპირებულობის ხარისხიც (რომელიც გერმანიაში პრაქტიკულად ნულოვანია) და გერმანიაში დიქტატურის ფორმად დესპოტიის (ე.ი. ბიუროკრატიის ყოვლისშემძლეობისა და ყოვლისწამლეკაობის) არარსებობის, საქართველოში კი მისი ღრმად დამკვიდრებულობის ფაქტიც. (ესეც სოციალური და პოლიტიკური პროგნოზი გახლავთ). ამის იქით უკვე სოციალური ფსიქოლოგიის და აქსიოლოგიის (ღირებულებათმოძღვრების) სფეროსთან (ე.ი. ფილოსოფიური ანთროპოლოგიის სფეროსთან) დაკავშირებული, მაგრამ ისევ მეცნიერული პროგნოზი იწყება. მართლაც, რას წარმოადგენს ადამიანისთვის მისი ერი და ამ ერის სახელმწიფო? ეს არის ადამიანისთვის მისიანების (მასთან სისხლით, ენით, კულტურით, ისტორიით, ერთობლივი მრავალსაუკუნოვანი თავგადასავლითა და მომავლით დაკავშირებული ადამიანების) სამარადისო თვითდამკვიდრების და ამათ სახით – საკუთარი თავის სამარადისო თვითდამკვიდრების გზა, მაგრამ თვითდამკვიდრებისა არა ცარიელ სივრცეში ან უტყვი კოსმოსის პირისპირ, არამედ ისევ თავის მსგავსთა შორის, იმავე ძირითადი მოთხოვნილებებითა და მისწრაფებებით აღჭურვილ, იმავე ღირებულებებისაკენ მოსწრაფე და იმავე ღირებულებათა დაუფლებისათვის ურთიერთმებრძოლ არსებათა (ადამიანთა) შორის. ამ ადამიანთა კრებული არის კაცობრიობა და ადამიანი ამ თავის თვითდამკვიდრებას კაცობრიობის (ანუ ადამიანთა მთელი სიმრავლის) პირისპირ ახდენს (და არა, ვთქვათ, თავისი სოფლის, თავისი ქალაქის, თავისი თანამოქალაქეების ან თუნდაც თავისი ქვეყნის მარტოოდენ უშუალოდ მეზობელი ქვეყნების პირისპირ). ის, თუ რა რაოდენობისა და პოტენციისანი არიან მოცემული ადამიანის ეს „თავისიანები“, განსაზღვრავს იმას, თუ რა მიზანთსახვით, რა განაცხადით, თუ შეიძლება ითქვას – რა „პრეტენზიით“ დგება ეს ადამიანი, როგორც „თავისიანების“ (თავისი ერის) ერთ-ერთი წარმომადგენელი და განმასახიერებელი, კაცობრიობის პირისპირ (მაგალითად, მისი პრეტენზიები ასეთი შეიძლება იყოს: „ჩვენც ვართ ერთ-ერთი სხვა ერთა შორის“ ან: „ჩვენც ვართ ერთ-ერთი მოწინავე ერი სხვა ერთა შორის“, „ჩვენ ვართ მეცნიერებისა და ტექნიკის მედროშე ერი“ „ვართ დემოკრატიის მედროშე ერი“, „ვართ იმპერიის მპყრობელი ერი და უნდა დავრჩეთ ასეთად“ და ა.შ. და ა.შ.) და პირუკუ – ის, თუ რა განაცხადით დგება ადამიანი თავის „თავისიანთა“ ჯგუფითურთ კაცობრიობის პირისპირ, განსაზღვრავს იმას (სხვა ფაქტორებთან ერთად), თუ ვის და ვის, რამდენსა და თავისთან რა ხარისხის სიახლოვით დაკავშირებულ თავისიანებს ჩათვლის ეს კაცი „თავისიანებად“. აქ კი იწყება მესამე და, შესაძლოა, ყველაზე არსებითი განსხვავება გერმანელი ერის სტრუქტურას (და შესაბამისად, ფედერალიზმისადმი მის მიმართებას) და ქართველი ერის სტრუქტურასა (და, შესაბამისად, ფედერალიზმისადმი ჩვენს მიმართებას) შორის. სახელდობრ:

გ) ქართველი ერი თავისი რიცხოვნებით და დღევანდელი ადგილით მსოფლიო სისტემაში მცირე ერთა რიცხვს ეკუთვნის, თავისი ისტორიულად ჩამოყალიბებული თვითცნობიერებით კი, რომელსაც ობიექტური საფუძველი თვით ისტორიაშივე და ისტორიის მიერ შექმნილ კულტურულ და პოლიტიკურ მემკვიდრეობაშივე აქვს, მაშასადამე – თავისი სამომავლო განაცხადითაც კაცობრიობის პირისპირ იგი გამორჩეულ ერთა რიცხვს ეკუთვნის. მართლაც, ის ფაქტი, რომ ქართველი ერი იმ მცირეთაგანია, ვისაც ქრისტიანობამდელი მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობა აქვს, ვინც მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ფეოდალური ისტორიის პატრონია, ვინც თითქმის ერთადერთი მცირე ერია, რომელმაც დიდი ლიტერატურა შექმნა, ვინც თავისი ყოფითი კულტურითა და ღირსების ტრადიციული ხალხური კოდექსით (რომლის არსებობაც ახლა ბეწვზე ჰკიდია) ერთ-ერთი ჰუმანიტარულად ყველაზე განვითარებული ერია და ვისაც, ამასთანავე, არაერთხელ დაუმტკიცებია საკუთარი ქვეყნისა და მსოფლიოს ასპარეზზე თავისი პოლიტიკურ-მილიტარული ბუნებრივი მონაცემების მაღალი ხარისხი, სავსებით საკმარისი ფაქტორია ერის თვითცნობიერების ზემოხსენებული მახასიათებლის ობიექტური დაფუძნებისათვის. ამიტომ – და მხოლოდ ამიტომ – არის, რომ თავის უდიდეს შინაგან მრავალფეროვნებას კუთხეთა მიხედვით ქართველი ერი თავის სიმდიდრედ თვლის და არა სისუსტედ, ფიქრობს და გრძნობს რა – სავსებით მართებულად, – რომ ერის ერთიანობას შინაგანი გაუდიფერენცირებლობა (ერთგვაროვნება) კი არ ქმნის, არამედ კაცობრიობის პირისპირ (ანუ მსოფლიოს სისტემაში) მისი ერთობლივი ამოცანის წონა, მასშტაბი და პრესტიჟი საკუთარსა და სხვის თვალში და ასე იქნება მანამდე, სანამ ქართველ ერს საფუძველი აქვს, რაღაცის გამო, რომ თავისთავით იამაყოს და სამომავლოდ (ვთქვათ, საბოლოო განთავისუფლების შემდეგ) რაღაცა დიდი მიღწევების რეალური იმედი ჰქონდეს. გერმანელი ერის სტრუქტურა (აღნაგობა) სხვაგვარია. გერმანი ტომები ისტორიის მსოფლიო სისტემაში ჩაერთნენ ჯერ რომთან ბრძოლისა და სხვა მრავალგვარი ურთიერთობის პროცესში; შემდეგ, – რომისვე მემკვიდრეობასთან ურთიერთქმედებაში, – მათ შექმნეს ფეოდალიზმი მისი კლასიკური ფორმით (უახლოესი ანალოგიით ჩვენს ფეოდალურ კულტურასთან), შემდეგ შექმნეს თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოება და დღეს, როგორც მსოფლიოს მოწინავე ნაწილის (ევროპის) ერთ-ერთი მოწინავე ნაწილი, მსოფლიოს ეკონომიკური, მეცნიერული, ტექნიკური, კულტურული განვითარების ავანგარდში იმყოფებიან. ქართველთაგან განსხვავებით, გერმანელთა ისტორიულ განვითარებას (ანუ ძველიდან არსებობის ახალ-ახალ, პროგრესულ ფორმებზე გადასვლას) წყვეტა არა აქვს, შესაბამისად, მათ წინაშე არ დგას არც შექცევისაგან (უკუსვლისგან) მათ მიერ უკვე მოპოვებული ისტორიული კაპიტალის დაცვის ამოცანა, თვით მათი ერის, როგორც მთლიანის, არსებობის ჩათვლით. პრობლემატურად მათთვის რჩება მხოლოდ მათი სახელმწიფოსა და მათი ერის ადგილი ზემოხსენებულ მოწინავეთა შორის, დროის მოცემულ მონაკვეთში. ამ აზრით, მათი ზოგად-ეროვნული ცხოვრების წონასწორობა (ისეთ ფასეულობათა და ორიენტირთა მდგრადობის ჩათვლით, როგორიცაა გერმანელობა, გერმანიის ერთგულება, გერმანული და ევროპული კულტუროსნობა, არსებული ზნეობის ერთგულება და მრავალი სხვა), ე.წ. მდგრად წონასწორობათა რიცხვს ეკუთვნის (წონასწორობა სისტემისა, რომელიც გადახრის შემთხვევაში თავისით უბრუნდება ამ წონასწორობას, მაგალითად, ძაფზე ჩამოკიდებული ბურთისა). ამიტომაც კანონზომიერია, რომ ომში დამარცხებული გერმანია, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური აღრევის მიუხედავად, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, კვლავ დაუბრუნდა (და უფრო და უფრო უბრუნდება) თავისი ერთიანი სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ერთიანობის ტრადიციულ ფორმებს (ამ ფორმებს გერმანია დაუბრუნდებოდა, დიდი ალბათობით, იმ შემთხვევაშიც კი, მისი პოლიტიკური მარცხი რომ მართლაც აბსოლუტური ყოფილიყო (მაგალითად, ერთიანი სახელმწიფოებრიობა რომ გაეუქმებინათ და გერმანია კვლავ სამეფო-სამთავროებად დაეშალათ, ასეთ შემთხვევაში მისი გამაერთიანებელი და მისი პოტენციალის შემნახველი ფაქტორი იქნებოდა მისი კულტურა, რომელიც თავისი ხასიათითა და სულისკვეთებით ზოგადგერმანულია და რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა გერმანიის გაერთიანების ერთსაუკუნოვან პროცესში დღემდეც. აღსანიშნავია, რომ, როგორც ეს დამაჯერებლად აქვს გამოკვლეული და დასაბუთებული ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს ფილოსოფოს-ფენომენოლოგს მაქს შელერს თავის შტუდიებში (გამოკვლევებში) ევროპის დიდ ერებში დემოკრატიის იდეის სხვადასხვაგვარი აღქმისა და ინტერპრეტაციის (გაგების) შესახებ, გერმანელთა აღქმაში კულტურული შემოქმედება ტრადიციულად უფრო მაღლა დგას ყოველთვის ღირებულებებისა და პრესტიჟის სკალაზე, ვიდრე პოლიტიკური საქმიანობა და პოლიტიკური წარმატება.) საქართველოს მდგომარეობა პრინციპულად სხვაა. საქართველოს ისტორიას წყვეტა აქვს და ზემოხსენებული დისპროპორცია (ქართველი ერის ზოგადეროვნულ მიზანთსახვასა და დღეს რეალიზებულ მიზნებს შორის) იმას განაპირობებს, რომ ჩვენი ეროვნული აღნაგობა (სტრუქტურა, შემადგენლობა) დღეს არამდგრადი წონასწორობის მდგომარეობაში იმყოფება (წონასწორობა სისტემისა, რომელიც, წონასწორობის დარღვევის შემთხვევაში, თავისით აგრძელებს დაშორებას ამ წონასწორობისაგან, მაგალითად, წვერზე დაყენებული ფანქრის წონასწორობა). საკმარისია ზოგადეროვნული ამოცანის შესუსტება, დეზაქტუალიზაცია (მისი მიუწვდომლის სფეროში გადასვლის შედეგად) ან დეპრესტიჟიზაცია, რათა გაქრეს ერის მრავალგვარობის ერთიანობად შეკავშირებისთვის არსებული ერთადერთი საფუძველი – კაცობრიობის წინაშე გამარჯვებით დგომის პერსპექტივა. პრაქტიკულად სავსებით შესაძლებელია, რომ ქართველმა ერმა რამდენიმე განჭვრეტადი წლით და ათწლეულითაც კი დაკარგოს ყოველგვარი პოზიტიური ფუნქცია და ინდივიდუალური ადგილი კაცობრიობის სისტემაში და ისტორიის ერთ-ერთ სუბიექტად კი არა, მის მარტოოდენ ობიექტად დარჩეს, როგორც დღესაა; შესაძლებელია, რომ ღატაკმა, დამარცხებულმა და საექსპორტო პროსტიტუციის წყაროდ ქცეულმა ერმა დაკარგოს კაცობრიობის პირისპირ ზოგადეროვნული თვითდამკვიდრების არა მხოლოდ იმედი, არამედ ინტერესიც, და მისი ჰორიზონტი მისი უშუალო გარემოთილა შემოიფარგლოს, რომლის წინაშეც „ქართველი“, როგორც ათასწლოვანი ისტორიისა და კულტურის პატრონი ერის შვილი, და „ვაკელი“, როგორც თბილისის პრესტიჟულ რაიონში სახლის მფლობელი, ერთი ღირებულების ცნებები და თვითიდენტიფიკაციებია.

ცნობილია, რომ ოფიციალურ ნომენკლატურას და ადმინისტრაციულ დაყოფას, თავის მხრივ, დიდი გავლენა აქვს ადამიანთა თვითიდენტიფიკაციაზე. ამგვარად, საქართველოს სახელმწიფოს განაწილება ერთიმეორესთან ფედერალურ ურთიერთმიმართებაში მყოფ ტერიტორიულ ერთეულებად – ამ მიკრო და ქვაზი-სახელმწიფოებად – ძალიან დიდი ალბათობით მოიტანს არა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს დაშლას რამდენსამე ერთეულად, არამედ ქართველი ერის გახლეჩასაც რამდენსამე ერთეულად სულ ორი, მაქსიმუმ – სამი თაობის მანძილზე.

ჩვენი მსჯელობის ამ მონაკვეთში ის ამოცანაღა დაგვრჩა, რომ ხსენებული ხიფათის განხორციელების კონკრეტული შესაძლო მექანიზმები ჩამოვთვალოთ (რა თქმა უნდა, ჩამონათვალი არასრული იქნება):

ა) კონფლიქტი ფედერალურ ერთეულებს შორის აუცილებლად გაჩნდება მათი საზღვრის გადასინჯვის შემთხვევაში (რაც შეიძლება მეურნეობის ან სხვა რამ კონკრეტულმა ინტერესებმა მოიტანოს).

ბ) იგი გაჩნდება თვით ერთეულებად დანაწილების ცვლილებისას (ორის ერთად შეერთება, გაყოფა და ა.შ.). ეს რომ შესაძლებელია, ამას მოწმობს თვით გერმანული კონსტიტუცია, რომელშიც მოცემულია ამგვარი შესაძლებლობა. უფრო მეტიც: კონსტიტუცია ითხოვს მას საჭიროების შემთხვევაში. (დღეს შემოთავაზებული სიახლეები გერმანიაში უკმაყოფილებას აწყდება. ბოლი, (ციტ. შრ. გვ. 37). თუ გადანაწილება აიკრძალა სამეურნეო და ადმინისტრაციული ინტერესების მიუხედავად, ესეც, თავის მხრივ, ადგილობრივი თვითიდენტიფიკაციის გამაძლიერებელი ფაქტორია.

გ) იგი შესაძლოა გაჩნდეს სახსრების განაწილების და გადასახადთა კომპეტენციის განაწილების პროცესში.

დ) ადმინისტრაციიდან და მისი ნომენკლატურიდან გამომდინარე, შესაძლებელია იდენტობის ახალი ცნობიერების გამომუშავება (შდრ. ბოლი, (ციტ. შრ. 37–38), მით უფრო, რომ ასეთ იდენტობას აძლიერებს მმართველი ფენა (გერმანიაში – დინასტიური. შდრ. ბოლი, (ციტ. შრ. 34–35), ჩვენ ქვეყანაში, პერსპექტივაში – ახალი ბიუროკრატია.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №40,41,42.

გაგრძელება იქნება

## ახლა ყალბი ბარათებიც

როგორც სააგენტოს კორესპონდენტისათვის მერიის პრესცენტრში გახდა ცნობილი, ბოლო ხანებში ქალაქში გაჩნდა სხვადასხვა ტექნიკის მეშვეობით დამზადებული მეტროპოლიტენით მგზავრობის ყალბი კოდირებული ბარათები. მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობა იუწყება, რომ ყალბი კოდირებული ბარათებით მეტროში შესვლა პრაქტიკულად შეუძლებელია და აფრთხილებს მოსახლეობას – მოერიდონ ხელზე, უცხო პირებისაგან კოდირებული ბარათების იაფ ფასებში შეძენას. მსგავსი ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, დამნაშავენი კანონით დაისჯებიან.

9 მაისიდან მეტროპოლიტენის ყველა სადგურში შესასვლელი მგზავრობა მთლიანად ავტომატიზირებული იქნება.

## იბრძვიან იეღოველთა წინააღმდეგ

„ჩვენ, სამაჩაბლოელი მართლმადიდებლები, საქართველოსათვის ამ მძიმე ჟამს, ვალდებულნი ვართ დავიცვათ ჩვენი წმინდა მართლმადიდებლური სარწმუნოება, რომელსაც საკუთარი სისხლის ფასად იცავდნენ ჩვენი წინაპრები“ – ნათქვამია შიდა ქართლის მცხოვრებთა მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში. იქვე ნათქვამია, რომ ლიახვის ხეობის სოფლების: თამარაშენის, აჩაბეთის, ქურთას, კეხვის, ქემერტის, ძარწემისა და ხეითის მოსახლეობამ აღდგომა დღეს აუტოდაფე მოუწყეს იეღოველთა ლიტერატურას. განცხადების ავტორთა თქმით, ამ სექტის ღვთისგმობა ყოველგვარ საზღვარს გადასცილდა. სოფლებში ტონობით, მსოფლიო პოლიგრაფიული სტანდარტების დონეზე შესრულებული, სხვადასხვა ენაზე გამოშვებული სატანური ლიტერატურა შედის, რაც ხელს უწყობს ქართულ მართლმადიდებლურ ლიტერატურასა და ჭეშმარიტ სამღვდელოებას მოკლებული მოსახლეობის ადვილად მოხიბვლას და ანტიქრისტეს ფერხულში ჩაბმას. (იფრინდა)

## მანდატის გაგრძელებაზე საუბარი უზნეობაა

საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთი“-ს და აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს განცხადებით, მათ დაგეგმილი აქვთ, ერთობლივად მიიღონ პრაქტიკული ზომები აფხაზეთის პრობლემის გადასაჭრელად, დევნილთა და ლტოლვილთა უპირობო და მასიური დაბრუნების დასაჩქარებლად. ისინი მიმართავენ ყველას, ვისთვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას – გაერთიანდნენ აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურის ირგვლივ და ნუ შეუწყობენ ხელს აფხაზეთთან დაკავშირებული ახალ-ახალი ორგანიზაციების შექმნას, რაც მათი თქმით, მომავალი დაქსაქსულობისა და გათიშვის საწინდარია.

განცხადების ავტორებს მიაჩნიათ, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის მორიგ გაგრძელებაზე საუბარიც კი უზნეობა იქნებოდა. ისინი აქვე აცხადებენ, რომ არცერთი მათი მოქმედება არ იქნება მიმართული საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ, რადგან ნებისმიერი დესტაბილიზაცია კიდევ უფრო შორს გადასწევს აფხაზეთის პრობლემის კანონზომიერად გადაწყვეტის საკითხს. (იფრინდა)

# „რად მინდა მე სახელმწიფოს მეთაურის დადგენილება, როცა მე კანონი მაქვს"

5 მაისს უზენაეს სასამართლოში იური ტაბუცაძის თავმჯდომარეობით ე.წ. ბორჯომის საქმის პროცესი განახლდა, რომელზეც ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის ყოფილი გენერალური დირექტორის, განსასჯელ თამაზ კურტანიძის მიმართ წაყენებული ბრალდების - სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცების ეპიზოდის ირგვლივ, რევიზორი - ზაურ გაბრიჩიძე და ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის მთავარი ბუღალტერი - მაყვალა სუთიძე დაიკითხნენ.

ზემოთხსენებულ ბრალდებასთან დაკავშირებით განსასჯელმა თ.კურტანიძემ ბრძანა, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით არ მოწვეულა საბუღალტრო ექსპერტიზა, არ იქნა საკანონმდებლო აქტების და სხვა საბუღალტრო დოკუმენტების წარმოდგენა. არ მოხდა რევიზორ - ზაურ გაბრიჩიძის დასკვნის შემოწმება, რაც 187 მუხლის დარღვევაა, მოკვლეული მასალები გამოძიებაში უნდა გადამოწმებულიყო და ჩემი ჩვენებებიც უნდა მიეღოთ მხედველობაში, რაც, რა თქმა უნდა, არ მოხდა. 8 თვის და 15 დღის უკანონო პატიმრობის შემდეგ წამომიყენეს აღნიშნული ბრალდებები. 1995 წლის 11 ივნისს დამაკავეს იარაღის უკანონო ტარებისათვის, რომელიც (მუხლი) ამნისტირებული იყო.

სხდომაზე, აგრეთვე, თამაზ კურტანიძემ გვამცნო: „სახალხო გაზეთის" რედაქტორის - გია ლომაძის სტატიაში „ბრალად მედება 860000$, 70 მლნ. რუსული რუბლის დატაცება და 5 ადამიანის მკვლელობა. რის შემდეგ წამიყენეს ბრალდებები: ბანდიტიზმი, მკვლელობა და სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცება. იზოლატორში გადამიღო გია ლომაძემ სურათი, რისი უფლებაც წინასწარი გამოძიებისას მას არ ჰქონდა. გია ლომაძე უნდა მოვიწვიოთ სასამართლოზე ჩვენების მისაცემად". საყურადღებოა ის ფაქტი, რომ არც სახელმწიფო ქონების დატაცებაში თ.კურტანიძე თავს დამნაშავედ არ ცნობს და ამ ეტაპზე არ ითხოვს საქმის გამოძიებაში დაბრუნებას.

განსასჯელი თამაზ კურტანიძე ბორჯომის №2 ჩამომსხმელი ქარხნის გენერალური დირექტორი და სააქციო საზოგადოება „თორის" ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო იმ 5 დამფუძნებელთაგან, რომელშიც შედიოდნენ მოსკოვის ფირმა და სხვა იურიდიული პირები.

რევიზორ ზაურ გაბრიჩიძის თქმით, მას დავალებული ჰქონდა კონცერნ „ბორჯომსა" და მასში შემავალი №1 და №2 ჩამომსხმელი ქარხნების შემოწმება. 1996 წლის ივლისის ბოლოს გამოძიებას ჩააბარა აქტი, რომელიც საქმეს არ დაერთო, რადგან, მისი თქმით, მის კომპეტენციაში არ შედიოდა.

ადვოკატ კუკური ჭუმბურიძის კითხვაზე - „შუალედური აქტი რევიზიის აქტების გარეშე წარმოადგენს თუ არა სრულყოფილ საბუღალტრო დოკუმენტს" - რევიზორმა უპასუხა, რომ წარმოადგენს, რომლის შემდეგ დამცველმა იშუამდგომლა, რათა ზაურ გაბრიჩიძეს წარმოედგინა №1 და №2 ქარხნების რევიზიის აქტები, რაც სასამართლო კოლეგიამ არ დააკმაყოფილა.

განსასჯელმა თამაზ კურტანიძემ თხოვა მოსამართლეს, რათა მიეცა ნება სახელმწიფოს მეთაურის დადგენილების წაკითხვისა, რაზეც სხდომის თავმჯდომარემ ბრძანა: „რად მინდა მე სახელმწიფოს მეთაურის დადგენილება, როცა მე კანონი მაქვს".

ია ბუკოვსკაია

# კორუფციასთან ბრძოლა რუმინეთის პრეზიდენტსაც დაუწყია

*ქალბატონ ლუმინიტა პეტრესკუს, რუმინეთის ახალი პრეზიდენტის, კონსტანტინესკუს მრჩეველს, რამდენიმე კითხვა დავუსვი მისი სამშობლოს დღევანდელ ცხოვრებაზე. მან მიპასუხა:*

— დღეს რუმინეთში ეკონომიკური რეფორმები მიმდინარეობს, რაც ზოგჯერ ძალიან მძიმედ აწვება მოსახლეობას. მაგრამ სახელმწიფოს სურს პრივატიზება გაუკეთდეს უმრავლეს საწარმოებს, ამის გამო ბევრი უმუშევრად რჩება. მაგრამ ახალი ხელისუფლება ცდილობს შეუმსუბუქოს ხალხს რეფორმების ტვირთი და ქმნის ფართო სოციალურ პროგრამებს.

*- რუმინეთის ახალი ხელისუფლება ყველაფერში ყურს უგდებს მოსახლეობას? მაშინ ხომ რეფორმები ვერ ჩატარდება?*

- პირიქით, უფრო კარგად ჩატარდება. ჩვენს ახალ ხელისუფლებას არ შეუძლია სხვანაირად მოიქცეს, რადგან არჩევნების დროს რაც დაპირდნენ ხალხს, ის უნდა შეასრულონ. სხვაგვარად არ შეიძლება.

*- რა ძალებია თქვენს პარლამენტში?*

- დემოკრატები უმრავლესობაა, ხოლო ყოფილი კომუნისტები უკვე უმცირესობაა. ამგვარად, მთავრობა და პრეზიდენტი დემოკრატები არიან.

*- თქვენ პრეზიდენტის მრჩეველი ხართ და ცუდს მასზე არ იტყვით, მაგრამ ნუთუ ის ასეთი კარგია?*

- რატომ? მე შემიძლია ვთქვა ცუდიც, მაგრამ მკითხეთ კონკრეტულ თემაზე.

*- გამოდის, რომ მაინც არაფერს ამბობთ?*

- პირადად მე არ მომწონს, როდესაც იგი ცდილობს ყველა კმაყოფილი იყოს, კომუნისტებიც და დემოკრატებიც.

*- პრეზიდენტი ხომ ყველასია, ამიტომ ეს თვისება უფრო ღირსებად ჩაითვლება?*

- დიახ. (იცინის).

*- ილიესკუ, ყოფილი პრეზიდენტი როგორ́ლაა?*

- ო, ძალიან კარგადაა. იგი სენატორია და სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე. ეს ყველაზე მთავარი ოპოზიციური პარტიაა.

*- რუმინეთმა აიღო კრედიტები მსოფლიო ბანკიდან და სავალუტო ფონდიდან?*

- დიახ.

*- ესე იგი, ინფლაციურ პროცესებს ქვეყანაში ისინი აჩერებენ?*

- ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ჩვენი ბანკი აჩერებს ინფლაციას.

*- თქვენ ლექციის დროს ამბობდით, რომ რუმინეთი მზადაა დემოკრატიისთვის. საზოგადოება მზადაა, რომ ჩამოყალიბოს ორგანიზაციები და კლუბები, რომ საზოგადოება კონტროლს უწევს ხელისუფლებას. თქვენ ჯერ ჩაუშესკუს საშინელი დრო გამოიარეთ, მანამდეც ხომ მძიმე იყო ცხოვრება, შემდეგ ილიესკუ და როგორ მოხდა, რომ საზოგადოება მზადაა? მე არ მჯერა ამის.*

- ადამიანებმა იციან, რომ სხვა გზა არ არსებობს. მხოლოდ რეფორმები, მხოლოდ პრივატიზაცია გადაარჩენს მათ. ადამიანებს სურთ გააკეთონ თავისი მომავლისთვის ინვესტირება.

*- კონსტანტინესკუ თავისი ხალხის ლიდერია, ადამიანია, რომელსაც ხალხი მიჰყვება?*

- დიახ, ასეც შეიძლება იფიქრო, მაგრამ ის თვითონ სამოქალაქო საზოგადოებიდან არის მოსული, ამიტომაც ადამიანებს მისი სჯერათ. იგი ძალიან პატიოსანი პიროვნებაა და ხალხმა ეს იცის. არჩევნების დროს მან აღუთქვა რუმინელებს, რომ იბრძოლებს კორუფციის და კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ. არჩევნების დამთავრებისთანავე მან შექმნა სპეციალური კომისია ამ საკითხზე, რომელიც აქტიურად მუშაობს.

*- თქვენ პრივატიზაცია ახსენეთ, როგორ მიმდინარეობს იგი?*

- მიწა ჯერ კიდევ 1991 წელს დაურიგდა ხალხს. ახლა მიმდინარეობს საწარმოების პრივატიზება. ხალხს ეს ცუდად ესმის, რადგან ეშინიათ, რომ დაკარგავენ თავის სამუშაოს და ქუჩაში დარჩებიან. ეს ძალიან მძიმე პროცესია. ხალხს არ ესმის, რომ უნდა შეიცვალონ ზოგჯერ სამსახური, უნდა შეიცვალონ კვალიფიკაცია. ეს ძალიან მძიმე პროცესია, მაგრამ რას იზამ, აუცილებელი. შემდგომ ისინი მიხვდებიან, რომ კარგია.

*- რამდენია საშუალო ხელფასი?*

- თუ კერძო ფირმაში მუშაობ, მაშინ ბევრია, თუ სახელმწიფო დაწესებულებაში, მაშინ ცოტა. მაგალითად, ტელევიზიაში შეიძლება თვეში 4000 დოლარიც მიიღოს ჟურნალისტმა, ბანკში - 200-300 დოლარი, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც 50-60 დოლარს იღებენ. ჩვენთან არის ძალიან მცირე მასა ძალიან მდიდარი ადამიანებისა და უმრავლესობა კი ძალიან ღარიბია. მაგრამ სასიხარულოა ის ფაქტი, რომ საშუალო ფენამ განვითარება დაიწყო და ახლებურად შეეგუა ცხოვრებას. ასევე მცირე ბიზნესი ძალიან ჩქარა იკიდებს ფეხს.

*- რუმინეთს სურს ნატოში გაწევრიანება?*

- უკანასკნელი გამოკითხვებით მოსახლეობის 70% სურს ნატოში გაწევრიანებისათვის საჭირო თანხის თავისი ჯიბიდან გადახდა.

*- ვთქვათ, კონსტანტინესკუს შემდეგ, ან მის დროს, შემოიჭრა ვილაც და ისევ ისეთი პიროვნება აღმოჩნდა პრეზიდენტად, როგორიც ჩაუშესკუ. რას იზამს ხალხი, იბრძოლებს მის წინააღმდეგ თუ შეეშინდება?*

- განვლილ დემოკრატიის წლებს უკვალოდ არ ჩაუვლია, დიქტატურამ რომ გაიმარჯვოს, ეს ძალიან ძნელი იქნება. ადამიანები აქტიურად იბრძოლებენ დიქტატურის წინააღმდეგ. ეს შეუძლებელია, ხალხი არ მიიღებს ტოტალიტარიზმს. პრეზიდენტი დღეს ახორციელებს რუმინულ, ეროვნულ პოლიტიკას და ჩვენთან მმართველობა დემოკრატიულია. ეს კი ხალხს მოსწონს. კონსტანტინესკუ 100 დღეა, რაც პრეზიდენტია. როგორც გითხარით, მან დაიწყო ბრძოლა კორუფციასთან და კრიმინალებთან. მან შექმნა პროგრამა „რუმინეთის ბავშვები", რომელიც ითვალისწინებს 100% სოციალურ დახმარებას არასრულწლოვან ბავშვებზე, მათ განათლებას და შემდგომ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლას უფასოდ. ეს არის ძალიან დიდი და კარგი პროგრამა. ჩვენს ხალხს ძალიან მოეწონა.

*- თქვენ ახსენეთ კორუფციასთან ბრძოლა. რუმინეთში მაფიაა?*

- ო, ძალიან ბევრი ორგანიზებული მაფიაა: სიგარეტის მაფია, ყავის მაფია, კიდევ აღარ ვიცი, ძალიან მოდებულნი არიან ყველაფერს. მაგრამ ჩვენ შევებრძოლებით, მათ დიდი დღე არ უწერიათ.

*- დიდი მადლობა.*

მანანა იაშვილი

# სადაა ხელისუფლება?

18 აპრილს პარლამენტის წევრმა ბატონმა ირაკლი ბათიაშვილმა ტელევიზიით გამოსვლისას საქართველოს აუწყა, რომ საქართველოდან რუსეთის ჯარის იარაღი, ასევე საწვავ-საცხები მასალები ეშელონებით გავიდა სომხეთსა და სამაჩაბლოში ომის საწარმოებლად და ყველაფერი ეს მოხდა საქართველოს სამხედრო მინისტრის უშუალო ხელშეწყობით და ნებართვით. ბათიაშვილს მინისტრის გვარი არ დაუსახელებია, მაგრამ, ცხადია, ნადიბაიძე იყო ნაგულისხმევი, იგია გრაჩოვის „ძმადნაფიცი" და უარს „ვერ ეტყოდა" საქართველოს ტერიტორიაზე ამ იარაღისა და მასალების გატარებაზე და სომხეთისათვის გადაცემაზე. ნადიბაიძემ ისიც დაივიწყა, როგორ დაამცირეს იგი (და მთელი საქართველო), როცა სოჭში ჩაფრენისას აეროპორტში დააპატიმრეს და რამდენიმე საათი აყურყუტეს, მაშინ როცა ბატონი გრაჩოვი, როგორც ნამდვილი რუსი ველმოუა საკუთარ მამულში, ისე ჩამოფრინდა ბათუმში უნებართვოდ, საქართველოს ხელისუფლებას ეს არ „გაუგია".

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია-იარაღის გადაცემა და საქართველოს ტერიტორიაზე გატარება პარლამენტის ნებართვის გარეშე - ეს ხომ სისხლის სამართლის დანაშაულია, საქართველოს ღალატია, რამეთუ ნაწილი ამ იარაღისა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში უკვე ხოცავდა ქართველებს, ყარაბახში - აზერბაიჯანელებს, ნაწილი კი კვლავ ჩვენსკენაა მომართული და როდის გაისვრის არავინ იცის. ნადიბაიძე რუსოფილი გენერალია, ოჯახი გარუსებული ჰყავს, მეუღლე რუსი, შვილები - რუსულ სკოლადამთავრებულები, ერთი შვილი - ოფიცერი, რუსულ ჯარში მსახურობს, კრასნოდარში სახლი აიშენა და საბოლოოდ, ცხადია, საქართველოში არ დარჩება. ასეთი გენერალი სრულიად შესაძლებელია ნებას დართავდა დაუფიქრებლად რუსული იარაღის სომხეთსა და სამაჩაბლოში გადატანაზე, რა შეუშლიდა ხელს, ქართული აზროვნება თუ ქართული ცნობიერება? თუ ეს ასეა, როგორ შეიძლება ასეთი გენერალი - უცხო ინტერესების დამცველი, ქართული ჯარის სათავეში იდგეს? რატომ დუმს ხელისუფლება, რატომ არ შეაქვს სრული სინათლე ამ ბნელით მოსილ საკითხში? ხომ ცხადია, რომ ოდესმე შესაძლოა ის იარაღი ჩვენს წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული?

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სხვა ქვეყნების ინტერესების გათვალისწინება საქართველოს სუვერენიტეტის დაქვეითების და შესუსტების ხარჯზე, რაც ახლა ხდება.

ასეთი და მსგავსი მაგალითები საბაბს აძლევენ ხალხს სთქვას, რომ ნადიბაიძე მოსკოვის დანიშნულია და მისი ნების გამტარებელია. დღეს მისი გვარის ხსენებაც კი აღიზიანებთ ქართველებს, რამეთუ კაცმა ქართულიც არ იცის და ქართულ ჯარს აშენებს. ამაზე მეტი პარადოქსი იქნება?

მაინც ვის ინტერესებს იცავს ნადიბაიძე? ვითომ საქართველოსას თუ ნომერი ორი გიორგაძეა? ეგებ ისეთი გლობალური უბედურება მოგვიტანოს მისმა მინისტრობამ, რომ შემდეგ რამდენიმე თაობა ვერ გამოასწორებს. დიდიხანია ხალხში ხმები დადის, რომ შევარდნაძეს არ სურს ნადიბაიძე, მაგრამ „ვილაცეების" სიტყვას მოსკოვში ვერ გადაუდისო. ვფიქრობ, ჩვენი ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ქართული პოლიტიკა განიცდის ქართული ეროვნული ცნობიერების მწვავე დეფიციტს, რამეთუ ჯერ კიდევ ბევრი რუსოფილი და მანქურთია საქართველოში და გასაგებია საით „ექაჩებიან" ისინი საქართველოს. რეფორმები გულისხმობენ აგრეთვე უცხო ქვეყნების ინტერესების გამტარებლების ჩამოშორებას, რასაც დღემდე არ ვაკეთებთ და გაუგებარია რატომ? განა დიდი იდეოლოგიური დივერსია არაა ის ფაქტი, რომ რუსეთს ტელევიზიის სამი არხი აქვს საქართველოში? ვინ მისცა მოსკოვს ამის ნება? ერთ-ერთი პოპულარული არხი „რუსთავი" დახურეს, ალბათ იმიტომ, რომ მოსკოვს საშუალება ჰქონოდა თავისი არხი ჩაერთო. დღეს რუსეთს სამი არხი აქვს საქართველოში, თბილისს კი ორი. კვლავ რუსული იდეოლოგიის მოძალება... რაც მოგვიტანა მან - ყველასათვის ცნობილია, მაშასადამე, ხელისუფლებასა და მთავრობაში ჯერ კიდევ არიან რუსოფილი და გამანქურთებული წარმომადგენლები, რომლებიც რაღაც პრივილეგიების გამო ჰყიდიან საქართველოს ინტერესებს. ბატონ პრეზიდენტს მეტი გაბედულება და შემართება მართებს, სიფრთხილე ყოველთვის როდია კარგი, მით უფრო, თუ იგი ლაჩრობის ტოლია. ნუთუ დიდი და ბინძური პოლიტიკური თამაშის შედეგად კვლავ მოსკოვის „ვასალები" ვართ? მაშინ ვის რაში სჭირდება ასეთი ხელისუფლება, ან როდის გავიგონებთ სიმართლეს, ვინ დართო ნება რუსული იარაღის გატანაზე და რა ბედი ეწევა სამშობლოს მოღალატეს?

ანდრო ქოჩიაშვილი

*ამ წერილის ავტორი, ცნობილი პოეტი შალვა მჭედლიშვილი ხანგრძლივად იმყოფებოდა რუსეთის საკონცენტრაციო ბანაკებში. მის მოგონებებს გულგრილად ვერ წაიკითხავს მკითხველი.*

# რეპორტაჟი ჯოჯოხეთიდან

შალვა მჭედლიშვილი

40-იან წლებში საქართველოს მრავალ კუთხეში, განსაკუთრებით კი მის დედაქალაქში – თბილისში ბევრი ახალგაზრდული პოლიტიკური ორგანიზაცია იყო. თითქმის ყველა მათგანი რეპრესირებული გახლდათ. რამოდენიმე ასეთ ორგანიზაციაში მეც ვღებულობდი მონაწილეობას არალეგალურად, ხოლო ლეგალურად ახალგაზრდობაში ვრცელდებოდა ჩემი ლექსები, რომელიც იმ დროის მესვეურთა გულისწყრომას იწვევდა, რის გამოც 1945 წლის მარტში 58 სტატიის 10–11 მუხლით დამაპატიმრეს (იმჟამად ქ.თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის მე–4 კურსის სტუდენტი ვიყავი). დისიდენტურ საქმიანობას ადრიანი სიყრმიდანვე ვეწეოდი. ამიტომ ბევრ მებრძოლ მამულიშვილს ვიცნობდი დაპატიმრებამდე. ხოლო ბევრ მათგანს საპყრობილეებში გავეცანი. ზოგი მათგანის შესახებ გულითადად დავწერე სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. ახლაც მსურს პატივცემულ მკითხველს მოვუთხრო როგორც ჩემს შესახებ, აგრეთვე, ჩემ ბედში მყოფი ჩვენი თანამემამულეების სვე-ბედის შესახებ...

1945 წლის 27 მარტიდან 1946 წლის აპრილის ბოლომდე ვიმყოფებოდი ქ.თბილისის შინაგან ციხეში (სუკში), სადაც ძლიერ მძიმე პირობები იყო, უმეტესად ვიმყოფებოდი მარტო საკანში. აკრძალული იყო წიგნები, ციხის ეზოში სასეირნოდ გაყვანა, ძიების დამთავრებამდე მშობლებთან შეხვედრა (სხვა „ჰუმანურ“ ღონისძიებებს რომ თავი დავანებოთ). შემდეგ ჯერ საქალაქო ციხეში მამყოფეს, იქიდან კი განმანაწილებელ ციხეში გადამგზავნეს, სადაც კარგა ხანს ვიმყოფებოდი. 1947 წლის იელისის თვიდან 1949 წლის მარტამდე პატიმრობის ვადას ვიხდიდი ავჭალის და რუსთავის „შრომა-გამასწორებელ“ ბანაკებში. 1949 წლის მარტში ანაზდეულად ყველა პოლიტპატიმარი შეასახლეს გამანაწილებელ ციხეში და სხვათაშორის გვითხრეს, რომ გამოსულია რაღაც სპეციალური ბრძანება ყველა პოლიტპატიმრის იმპერიის რეგიონებში გაგზავნის შესახებ. სად? როდის? როდემდე? არავინ იცოდა. რა თქმა უნდა, ჩემი მშობლებიც ძალიან შეშფოთდნენ, რადგანაც დედისერთა შვილი ვიყავი. ბავშვობიდანვე ძლიერ სუსტი აღნაგობისა. აშკარა იყო, ხანგრძლივი, ეკლიანი გზის გავლა მომიხდებოდა.

ქ.თბილისიდან მარტის ერთ მზიან დღეს გაგვამგზავრეს ციხის მახლობლად ორთაჭალის არემარეში უკვე გაზაფხულის სურნელი იგრძნობოდა, ხეხილი საყვარლად ყვაოდა და ისევ საპყრობილეში ყოფნა უფრო გვერჩია, ვიდრე სადღაც ცხრამთაბარს იქეთ გამგზავრება. წინა დღეებში შორეულში პატიმრების ეტაპი რომ გაამგზავრეს, ადამიანები საბარგო მანქანებში წიხლით ჩატენეს და თავზე თვიანთი ბარგი-ბარხანა დააყარეს. რამოდენიმე პატიმარი უჰაერობით დაიხრჩო. ცხადია, ჩვენც ასეთი „კომფორტაბელური“ მგზავრობა მოგვიწევდა. რისიც გვეშინოდა, არ აგვცდა! ორიოდე დღის შემდეგ ჩვენც მანქანებში ჩაგვყარეს ჰარიარად, თავზე ბარგი-ბარხანა დაგვაყარეს, აეჩარკა ძაღლები წამოგვასვეს და გზას გაგვიყენეს. თუ ვინმე ცდილობდა ქუჩაში ახლობლებისათვის მოეკრა თვალი, ან თოფის კონდახს გვითავაზებდნენ ზედამხედველები, ან ძაღლი მოგვაჭამდა ყურსა და ცხვირს. ენით აუწერელია ის სევდა, რაც მაშინ განვიცადეთ, ის ტანჯვა-წამებაც. ჯერ სტოლიპინის რონოდებით, შემდეგ კი საქონლის გადასაყვანი ვაგონებით გაგვიყენეს გზას ვორკუტისაკენ... ბაქოს და როსტოვის საპყრობილეთა კარანტინებში, შემდეგ კი ვოლოგდისა და ვორკუტის საპატიმროების კარანტინებში გვამყოფეს. ქ.რუსთავის ბანაკებში შეძენილი ტროპიკული მალარია წამყვა თან და თითქმის მთელი გზა ციებ-ცხელებაში გავატარე, სიკვდილის პირას ვიყავი მისული, როსტოვის და ვოლოგდის ციხის საავადმყოფოებში ვიწექი. ერთადერთი ნუგეში ის იყო, რომ ჩემთან ერთად სხვა ქართველი პოლიტპატიმრებიც მოდიოდნენ. განსაკუთრებით ვმეგობრობდი ჩემი ხნის პოლიტპატიმარ რეზო ტყავაძესთან (ძლიერ განათლებული და მგზნებარე პატრიოტი, ყოფილი სტუდენტი. ცნობილი იურისტის შალვა ტყავაძის ვაჟიშვილი, მუსტა შელიას და ჭაბუა ამირეჯიბის საქმესთან დაკავშირებით რეპრესირებული და ხანგრძლივი პატიმრობამისჯილი). ვმეგობრობდი აგრეთვე სხვა ღირსეულ ახალგაზრდა მამულიშვილებთან, მათ შორის ახლო მეგობრობა მაკავშირებდა დავით ქარჩავასთან, რომანტიკული, სათუთი სულის ადამიანთან. ვალიკო ხუჭუასთან, რომელსაც დიდი სამსახიობო ნიჭი ჰქონდა და ძლიერ მოხერხებული ახალგაზრდა გახლდათ. ჩემთან ერთად მოემგზავრებოდნენ აგრეთვე უფროსი თაობის წარმომადგენლები: გიორგი ჭიაბრიშვილი (ტყვედნამყოფი, მრავალტანჯული კაცი, ფილოლოგი, დიდი პატრიოტი), ცნობილი მწერლების – ლევან გოთუას და ლადო ბალიაურის გულითადი მეგობარი. პატიმრობის დროს მათთან ხანგრძლივი მიწერ-მოწერა ჰქონდა, როგორღაც ახერხებდა ამას. ძლიერ სამწუხაროა, რომ ის საინტერესო ეპისტოლარული მემკვიდრეობა დაიკარგა. ექიმი დავით კეიტაიშვილი, ექიმი ბ-ნი ლევან ჩაჩუა, ექიმი მ.ო-ძე, ყოფილი ფეხბურთელი კაკო იმნაძე. ცოტა მოგვიანებით ჩვენს ეტაპს შემოუერთდნენ ახალგაზრდა პოლიტპატიმრები თავზიშვილი და ბალუაშვილი. ბაქოს საქალაქო ციხიდან ეტაპით რომ გაგვამგზავრეს, ძლიერ გულნატკენი ვიყავი, „ცეცხლიან ქალაქს“ ისე ვტოვებდით, რომ ზღვა თვალით ვერ ვიხილე, ჩემი სათაყვანო ზღვა და ვერც თოლიების ხმა გავიგონე, მაგრამ თურმე შემდეგ უფრო დიდი გულისტკივილი მელოდა. როდესაც ლეგენდარული შამილის ციხე-კოშკებს გვერდით ავუარეთ დაწყევლილ სტოლიპინის რონოდებში გამომწყვდეულებმა, ერთ-ერთმა „დერჟიმორდამ“ ჩვენს ამხანაგს, კაკო იმნაძეს სრულიად უმიზეზოდ (შესაძლოა, მისი სპორტული გარეგნობა და მხნე გამომეტყველება არ მოუვიდა თვალში!) ამერიკული ხელბორკილი დაადო. ის „მოდური“ ხუნდები იმდენად მტანჯველი აღმოჩნდა, კბილანებით ძვლებამდე აღწევდა და ისეთი ფიზიკური აღნაგობის კაცსაც კი, როგორიც კაკო იმნაძე იყო, ბავშვივით უმწეოდ აქვითინებდა. არაადამიანობა განა მეტი შეიძლება? როდესაც ბუნებრივი მოთხოვნილებისათვის პატიმრები გაჰყავდათ, ჯერ საპირფარეშოში ძლივს იყვნენ შესულნი, როდესაც ზედამხედველი მრისხანედ დაჰკიოდათ „Вилетай, поскорей гадь!“

მწარედ მახსენდება: როსტოვის ციხიდან რომ გამოგვიყვანეს ეტაპში გასამგზავრებლად, ზედამხედველთა უფროსმა გვითხრა: მატარებელზე გვაგვიანდება, აბა, საჩქაროდ! სირბილით... უნდა მივასწროთ. ბევრი ჩვენგანი ისე იყო დავრდომილი, რომ ძლივს დავლასლასებდით და, რა თქმა უნდა, ეს დიდი უბედურება იყო ჩვენთვის. მით უმეტეს, პირადად ჩემთვის. როსტოვის ციხის საავადმყოფოდან სიცხიანი რომ გამომწერეს, По бистрее курва! – ბრძანებდნენ ჯალათები და თავპირის მტვრევით გავრბოდით. ღმერთო ჩემო! როგორ გავრბოდით. ვინც შეყოვნდებოდა, მას უმოწყალოდ სცემდნენ თოფის კონდახით, წიხლით. სირბილი რომ ვერ შევძელი, ჩემი ბარგი გადავყარე. ამ დროს ექიმი მ.ო.-ძე-ს მოთქმა და კივილი შემომესმა: – მიშველეთ, ბიჭებო, ამ ტომრებში სულ სამედიცინო წიგნები მაქვს, რომ დავკარგო, დავიღუპები! შემეცოდა, რადგან სხვა არავინ გამოეხმაურა, წამოვიკიდე მისი ბარგი-ბარხანა, ყველაზე უკან მე და ის მივჩანჩალებდით. საკმაოდ ბევრი პანღურიც მივიღეთ. დამამახსოვრდა ვოლოგდის საპყრობილეც, თავისი ლამაზი არქიტექტურით, ოდესღაც იქ სტალინი მჯდარა“, ძმობა-ერთობის და თანასწორობის „მგზნებარე მქადაგებელი“, „თავისუფლებისათვის“ დაუდგრომელი მებრძოლი. ციხე კი ისევ ძველებური ეშხით, ამაყად იმზირებოდა და ახლა ახალი ჯურის პოლიტპატიმრები ხუმრობდნენ „Вологодский конвой шутить не любит!“ სულ ცემა-ტყეპით შეგვყარეს ციხის სარდაფში, „კარანტინში“. კედლები ყინვით და ჟამთა ცვლით გაბზარული და ხავსმოდებული ჩანდა, მწვანე წყალი მოჟონავდა... ისევ გამაცხელა, ორიოდე დღე საკანში სიცხიანი ვიწექი, მერე იმავე ციხის საავადმყოფოში გადამიყვანეს. ერთი კვირის შემდეგ ისევ ეტაპში მიკრეს სიცხიანს თავი. გზაზე სულ იმ უცნობი ჭაბუკის ლანდი მიმაცილებდა, ციხის საავადმყოფოში რომ ვიხილე: ნაადრევად გაჭაღარავებული თმები ლომის ფაფარივით გასჩეჩოდა, ჭაღარა წვერი მკერდამდე სცემდა, თვალებში კი არაამქვეყნიური რაღაც იდუმალი სევდა ჩასდგომოდა, კავკასიური იერსახისა იყო. ქართულად დაველაპარაკე, თვალებში ნაპერწკლებმა გაუელვა, შემომღიმა, შემდეგ ნებისყოფა მოიკრიბა და შუბლი შემიკრა... მითხრეს, მუნჯიაო, ჭკუადშეშლილი. ნეტავ ვინ იყო ის უდროოდ დაბერებული ახალგაზრდა? ახალ ეტაპში ახლა „შავძაძიანი“ მატარებლით გაგვამგზავრეს. ორთქლმავალიც შავი გახლდათ და ვაგონებიც რატომღაც შავი ფერით შეეღებათ. ნეხვით შესვრილი ვაგონები არეის დაეხვეტა. ხომ უნდა გავეგრძნო, რომ დასაკლავად გამეტებულ პირუტყვებზე მეტად არც ჩვენზე ზრუნავდნენ. გისოსებაკრულ პაწაწინა სარკმლიდან ვხედავდი ლამაზ, ტანკენარ, შუქით შემოსილ ფიჭვის ულრან ტყეებს, გაშიშვლებულ ფოთლოვან ხეებსაც, რომელთა ტოტებზე ჭილყვავებს უზარმაზარი ბუდეები მოეწნათ. ყურებში ყორნების ყრანტალი ჩამესმოდა და ჩურჩულით გალაკტიონის ლექსს ვამბობდი:

„ათოვდა ზამთრის ბაღებს,
მიჰქონდათ შავი კუბო
და შლიდა ბაირაღებს
თმაგაწეწილი ქარი,
გზა იყო უდაბური,
უსახო, უპირქუბო
მიჰქონდათ კიდევ კუბო,
ყორნების საუბარი
დარეკე! დაუბარე
ათოვდა ზამთრის ბაღებს“.

გავყურებდი უსაზღვრო სივრცეს და მწარედ მეღიმებოდა: რა გასაოცარი ბუნების ხალხია „ჩვენი ერთმორწმუნე“ და „მოძმე“ რუსები, ასეთ უზარმაზარ ტერიტორიას ფლობენ და მაინც ხარბად ცდილობენ სხვათა პაწაწინა მიწა-წყლის მითვისებას!

ვიგონებდი პეჩორას, ღამეული სარკესავით, სიმარტოვეში ამაზრზენ უზარმაზარ ცისფერ ყინულის ლოდებს რომ ტივებივით მოატივტივებდა და ასე მეგონა, ჯოჯოხეთის მდინარე სტიქსი გადავცურეთ-მეთქი და სიკვდილის საიდუმლოც ამოვხსენით. მეგონა, ლანდად ვიქეცი, ისე ძლიერ სუსტად ვგრძნობდი თავს, მაგრამ ბუნების ტკბობის ზეგარდმო ნიჭი ჯერ კიდევ არ დამკარგოდა. როდესაც პოლარული წრე გადავსერეთ და მატარებელი ყინვის და მუდმივი სიდამ ზრალის საუფლოში – ტუნდრაში შევიდა, უნებურად გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ გამახსენდა. როგორც იქნა, ჩავაღწიეთ ვორკუტაში. იქაც ჯერ საპყრობილეში, „კარანტინში“ შეგვყარეს. რომელიც ძალიან გადატვირთული იყო და რომელიც კრაზანების ბუდეს მოგვაგონებდა. შემთხვევით თვალი მოვკარი 16–17 წლის ულამაზეს გოგონას (ლიტველს). იგი ყურადღებას არავის აქცევდა, ჩაჩოქილიყო, პაწია ხელები და თვალებიც ცისაკენ აღეპყრო... ღმერთი არ არის? რა უნდა თითქმის ბავშვს აქ, რა დააშავა ისეთი? – ვფიქრობდით და თან გვიკვირდა ღვთისმოსავი ახალგაზრდის ნახვა... ჩვენ ხომ იმ ქრისტიანული ქვეყნიდან ვიყავით, რომლის ადამიანებსაც ჯვარცმული ღმერთი წაართვეს!

ქვანახშირის მეექვსე მაღაროსთან არსებულ სარეჟიმო ბანაკში გაგვამწესეს, სადაც სამი-ოთხი ათასი პატიმარი სახლობდა ხის ძველ ბარაკებში. იქვე მოთავსებული გახლდათ ეგრეთწოდებული „გამაჯანსაღებელი“ ბარაკებიც. რამოდენიმე „სტაციონარიც“, უპირატესად ქირურგიული პროფილისა, რადგანაც ხშირი იყო ტრავმები. ვარდისთვე იწურებოდა, იქ კი ისევ თოვლიანი ქარიშხლები – პურგა მძვინვარებდა. ბნელი დღე დაგვხვდა, ზამთრის ულიმღამო საშინელი დღე. ისევ ჩემმა ძველმა „მეგობარმა“ მალარიამ გამიხსენა. სტაციონარში მომათავსეს. ის დაწყევლილი დაავადება, ტროპიკულ მალარიად წოდებული, არქტიკის თეთრი უდაბნოს მახლობლადაც აღარა მტოვებდა! წერილის წერის უფლება ექვს თვეში ერთხელ შეიძლებოდა (თუმცა, პასუხს წელიწადში ერთხელ ძლივს ვღებულობდით!). ფულის ქონა აკრძალული გახლდათ. ამანათების მიღებაც შეზღუდული იყო. საჭმელ-სასმელად უპირატესად ირმის რძე და ხორცი გვქონდა. ისეთი უგემური, რომ ჩვენებური წყაროს წყალი ათასჯერ სჯობდა გემოთი. ყელში ამოვიდა წიწიბურა, ბურღული, და წყალწყალა ბორში „ბალანდა“. ხშირი იყო საჭმლით მოწამვლის შემთხვევები. ერთ დღეს ასზე მეტი კაცი მოგვეწამლა და მედიცინის მუშაკებს რომ არ ემარჯვათ, ალბათ, უფრო მეტი ადამიანი დაიხოცებოდა. ექიმები, ბ-ნი დავით კვიტაიშვილი, და ბ-ნი მ.ო-ძე სტაციონარის გამგებად დანიშნეს. რეზიკო ტყავაძე კი ბ-ნმა ჩაჩუამ აირჩია, თავისთან ფერშლად მოაწყო. გოგი ჭიაბრიშვილი, კაკო იმნაძე და მეც ჯერჯერობით მაღაროში გაგვამწესეს, ხოლო შემდეგ იქიდან ამოსვლა მოვახერხეთ (მე საპატიო მიზეზიც მქონდა: თავი საკმაოდ დამეჩეჩქვა ქვანახშირის ნამსხვრევით. გამოჯანმრთელების შემდეგ ტუბერკულიოზის სტაციონარში გამამწესეს უფროს მედიკად, რადგან ექიმი არ ჰყავდათ). ვალიკო ხუჭუა ძალიან გაგვიდიდკაცდა – ბანაკის სასადილოში მოეწყო- სადილს და საუზმეს ანაწილებდა. შეძლებისდაგვარად ყველას პატივსა სცემდა. ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ ტუნდრის და ქ.ვორკუტის შესახებ. ტუნდრა ფინური სიტყვიდან Gunturi- საგან წარმოდგება და ნიშნავს [illegible] მაღლობს. ტუნდრას ჩრდილოეთით ესაზღვრება არქტიკული უდაბნოები, ხოლო სამხრეთით ტყეები. მას ახასიათებს მარადი მზრალობა, უპირატესად გვხვდება ხავსი და უხეშფოთლიანი ტანმორჩილი ბუჩქები. აგრეთვე იზრდება ქონდარა არყის ხეც. ხანმოკლე ზაფხულის დღეებში აგროვებენ მიწაყვავილას, ლურჯ მოცვს. მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო მცენარეული და ცხოველთა სამყარო შედარებით ღარიბია. ამბობენ, როდესაც „მრისხანე სატრაპს“ ნიკოლოზ პირველს მოახსენეს, ტუნდრაში ძლიერ მდიდარი ქვანახშირის საბადოები აღმოაჩინეთო, მან ჰკითხა – მცენარეები თუ ხარობს იმ მხარეში? ყველა ცხოველები სძლებენ იქ? ფრინველები თუ ბუდობენ? – არა! თითქმის არა. აბა, მაშ მე სადა მყავს იქ ჩასასახლი ქვეშევრდომები,– განრისხდა ხელმწიფე. ტუნდრაში განსაკუთრებით სახლობენ და მრავლდებიან როგორც შინაური, ისე გარეული ირმის ჯოგები. არის სამონადირეო საყარგულები, ირმებს სატრანსპორტოდაც იყენებენ, ზოგჯერ ხარებსაც, მაგრამ მათ სამ-ოთხ წელიწადში გული უსივდებათ და კვდებიან. მისდევენ თევზის რეწვას, ტუნდრაში მრავლადაა თეთრი მგელი, თეთრი კურდღელი. „ზაფხულობით“ მოფრინავენ ფრინველები: თეთრი გნოლი, ყარსალი, ჯუჯა გედი და ზაფხულის მიწურულს ისევ სტოვებენ იმ მიდამოებს. ზამთარი გრძელდება ცხრა თვის განმავლობაში. ზოგჯერ ტემპერატურა აღწევს – 50 გრადუს ცელსიუსით, დააქტიურებული (ჩამოწერილი) დღეებია, რადგანაც სამუშაოდ გასვლა შეუძლებელია. ძლიერი ყინვისა და თოვლიანი ქარიშხლის – პურგის გამო. ზაფხულში თეთრი ღამეებია ორი-სამი თვის განმავლობაში. ქ.ვორკუტა აღმოცენდა 1931 წელს. თავდაპირველად პატარა დასახლება იყო, ხოლო 1943 წლიდან კი ქალაქად იწოდება. იგი მდებარეობს კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში პოლარული წრის ჩრდილოეთით (160 კმ-ით), დიდი მიწის ტუნდრაში. მდ.ვორკუტის ნაპირზე ქვანახშირის მოპოვების დიდი ცენტრია. ამჟამად იქ სამი ინსტიტუტია, სამთო და სამედიცინო სასწავლებელ-ტექნიკუმები, დრამატიული და თოჯინების თეატრი, ტელეცენტრი.

ქალაქი ვორკუტა პატიმრების ძვლებზეა აშენებული, როგორც ბევრი სხვა ქალაქი ყოფილი იმპერიისა. სიტყვა გამიგრძელდა, უმჯობესია პატიმართა ყოფა-ცხოვრება აღვწერო! მივდიოდით დილის სისხამზე, ყინვა რომ მოგვიჭირებდა მარწუხებს, ცოტა ხნით მრისხანე ქარს ზურგს ვაქცევდით და ერთმანეთს გაყინული სახის ნაკვთის გათეთრებულ ადგილზე მივუთითებდით. გაიზილეო, ვანიშნებდით (შესაძლებელი იყო გაყინული ადგილის დანეკროზება), ცრემლიც კი იყინებოდა! მივდიოდით პატიმრები მწყობრით, ყინვა-ყიამათში და ვბრუნდებოდით საღამოხანს ილაჯგაწყვეტილები. უამრავი ახალგაზრდა პატიმარი იღუპებოდა ჯოჯოხეთის შავ მაღაროში. ზოგი ცოცხლად იმარხებოდა, ზოგს ქვანახშირის ლოდი ჭყლეტდა. ზოგი პატიმარი კი თვითონ ახრჩობდა ერთმანეთს (ორიოდე გახვევა მახორკისათვის), ან ისე უბრალოდ „გართობის“ მიზნითაც კი! ტრავმები ხომ უამრავი იყო. შრომა გვტანჯავდა მონური, ქანცგამწყვეტი, და თუ ვინმე დაუძლურებული სამუშაოზე უარს იტყოდა, მას უმალვე „ბურში“ (კარცერში) უკრავდნენ თავს პერანგისა და საცვლის ამარა. გულისტკივილით მახსენდება თეთრი ღამეები, მკვდრის მზესავით მოელვარე და ვიგონებ შორიახლოდან ნანახ პატიმარი ქალების სევდიან სიმღერას. ო, ეს სიმღერა გოდებას უფრო ჰგავდა, დაკარგული ახალგაზრდობის გამო გლოვა-გოდებას. ისინი რკინიგზაზე ქვანახშირით ვაგონებს ტვირთავდნენ. მე იქ იმჟამად უკვე „მაღაროს „ზემო“ საფერშლო პუნქტში ვმუშაობდი (ტრავმამ მიშველა). ერთ დილით მედპუნქტში აღარ გამიშვეს ბანაკის რეჟიმის უფროსმა გამომიძახა და მითხრა: ჩვენ გვაქვს უტყუარი ცნობები, რომ გაქცევას აპირებ და საკმაოდ ძლიერი შემწეებიც გყავანან. ახლა კი მოშორდი აქედან, თვალით არ დამენახოო. მეორე დღეს უძილო ღამის შემდეგ, ისევ მანვე გამომიძახა და მითხრა: – საქართველოდან შენს სანახავად მშობლები ჩამოვიდნენ, პოლიტპატიმრებისთვის ყოველგვარი პაემანი აკრძალულია. ამანათის მიღების ნებას კი დაგრთავთ, უკვე გავჩხრიკეთ, ღვინო-არაყის გარდა ყველაფერს ხელუხლებლად მიიღებ, ფულის მიღებაც აკრძალულია. ჩინებულ ხასიათზე ბრძანდებოდა, „საკმაოდგამობრუჟული“ ჩანდა, ეტყობა ფულიც ჩაიჯიბა ამიტომ ძლიერ „ჰუმანურად“ მოექცა ჩემს მშობლებს ძლიერ შორიდან დაანახა ჩემი თავი, რათა დაერწმუნებინა, რომ ცოცხალი და უვნებელი ვარ. შორიდან ჩემი ბედკრული დედმამა შევნიშნე, მიღიმოდნენ, ხელს მიქნევდნენ. მეც საპასუხოდ ხელით მივესალმე. მუშტი შევმართე. ვანიშნე, რომ ყოჩაღად ვარ.

გაგრძელება მე-8 გვ.

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება 2 ოთახიანი გარემონ-ტებული ბინა ვაზისუბანში, 9 სართუ-ლიანის მე-3 სართულზე, რკინის კარებით, ტელეფონით, ახალი ჩაშენებ-ული კარადებით 5 ადგილზე. ფასი 5500 დოლარი. ტელ. 36-10-17; 78-51-51

იყიდება 2 ოთახიანი დიდი სახ-ლი ისნის რაიონში მეტროდან 150 მეტრში, ტელეფონით, გარაჟით, საკ-უთარი ეზოთი და სახლის წინ პატ-არა ბაღით. საწყისი ფასი 13000$-ის კურსით ლარები. დარეკეთ 74-54-62; 99-71-68 (ზესო)

იყიდება 4 ოთახიანი, არასტან-დარტული ბინა საბურთალოს ცენ-ტრში. საერთო ფართი 220 კვმ კარ-გი რემონტით, დიდი სარდაფით, ტელეფონით. ტელ. 37-77-50

იყიდება ორი 1 ოთახიანი ბინა გვერდიგვერდ, ჩეხური პროექტი. ფასი 25000$ ტელ. 23-36-13 ლომიძე

იყიდება სამსართულიანი მშენებარე სახლი, ტუფის ქვით ნაშ-ენი, ეზოთი და ხეხილით. საბურთა-ლოზე, იაშვილის 5-ში. ფასი შეთ-ანხმებით. ტელ. 99-94-31

იყიდება ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე 5 ოთახი სათავ-სოებით, სარემონტო. ფასი 30000$ ტაშკენტის ქ.56

იყიდება საკუთარი სახლი ვეძის-ში. ფასი 200000$ ტელ. 38-35-59

იყიდება 1 ოთახიანი ბინა, შატ-ბერაშვილის ქ.№4 II სად., II სართ. ოთახის ფართი 23 კვმ. სამზარეულო 9 კვმ. ჭერის სიმაღლე 3.20 სმ. აივნით, სარდაფით, ტელეფონით, ავტოსადგო-მით. ტელ. 29-46-36

იყიდება ნუცუბიძის ფერდობზე მე-3 მრ-ში რაიკომთან 2 ოთახიანი ბინა თავისი ლოჯით 9 სართულიანის მე-7 სართულზე. ნახევრად გარემონ-ტებულია. ფასი შეთანხმებით. ტელ. 35-11-34 მზია იყიდება 1 ოთახიანი ბინა დიღმის მასივში კინოსტუდია-სთან მე-2 სართულზე. რკინის კარე-ბით და ხის დარაბებით. არის გა-ფართოების საშუალებები. ფასი 6000 დოლარი. ტელ. 68-98-45

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ლოჯით, აივნით, ტელეფონით, სუფთა ბინა მე-2 სართულზე. ვაჟა-ფშაველას პროს-პექტი №80. ფასი 16000 დოლარი. ტელ. 30-10-52

იყიდება ბინა ვაჟა-ფშაველას მე-6 კვ-ში 5 სართულიანი ბინის მე-5 სართულზე. ორ-ოთახიანი თავისი ლოჯით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 35-11-34 მზია

იყიდება 3 ოთახიანი არასტან-დარტული ბინა დიდუბეში. ფასი 35000 დოლარი. ტელ. 34-19-53

იყიდება 5 ოთახიანი ბინა ფალიაშვილის №61. საკუთარი ეზო-თი, გარაჟით, სარდაფით, ტელეფონით. საერთო ფართი 140 კვმ, ფასი 75000 დოლარი. ტელ. 22-03-68

იყიდება 3 ოთახიანი ბინა შესას-ვლელით სადარბაზოდან და ეზოდან. მაღალ ბელეტაჟზე 2 სართულიან სახლში, აქვს 2 სარდაფი და ოთახი პირველ სართულზე, საერთო ფართი 120 კვმ, კაპიტალურად გარემონტე-ბული. შანიძის ქუჩა №15 საწყისი ფასი 40000$ ტელ. 29-22-60; 29-12-55

იყიდება საგურამოში სოფ. ნავ-დარაანთკარში სახლი 1000 კვმ მი-წის ნაკვეთით. ფასი 5000$ ტელ. 74-00-62

იყიდება ცხვარიჭამიაში 600 კვმ მიწის ნაკვეთი, ფასი 500$ ტელ. 74-00-82

დუშეთის რაიონის სოფელ საშ-აბუროში ბაზალეთის ტბასთან ახ-ლოს სასწრაფოდ და იაფად იყიდება ახლადაშენებული 2 სართულიანი სახ-ლი უმაღლესი კაპ.რემონტით 4000 კვმ მიწის ნაკვეთით, საწყისი ფასი 16000$ ტელ. 68-82-09 გოგი

იყიდება ბინა აღმაშენებლის გამზირზე, დუპლექსი 160 კვმ საერ-თო ფართი, სასარგებლო 90 კვმ, აქვს ეზო, ავტოფარეხი, ფასი შეთანხმე-ბით. ტელ. 95-53-65 ან 96-15-29

იყიდება მოსკოვის პროექტის 2,5 კუთხის ბინა მიშენებით, 2 ლოჯიით მე-3 სართული. სარდაფით ტელე-ფონით, რემონტით, ჩაშენებული კა-რადებით. საწყისი ფასი 12000$ ტელ. 95-31-37 (ნანა)

იყიდება მიწის ნაკვეთი პეტრი-აშვილის ქუჩაზე (ვერა), ტელ. 23-18-20

იყიდება ნუცუბიძის მე-3 მიკ-რორაიონში არატიპიური ერთოთახიანი ბინა, საცხოვრებელი ფართი 40 კვმ, აივნით. 9X6 სართ. მის. ნუცუბიძის მე-3 მ/რ მე-2 კვ მე-7 კორპ. მე-6 სართ. ბ. 33. ფასი 12000$ ტელ. 29-11-61

იყიდება 1,5 ბინა, 3 ოთახად გადა-კეთებული. ფართი 22X16X11 ტელე-ფონით, სარდაფით. საწყისი ფასი 20000 დოლარი ტელ. 36-48-10; 36-71-66

იყიდება ან იცვლება 5 ოთახ-იანი, მაღალჭერიანი ბინა ჩიქოვანის ქუჩაზე. საერთო ფართი 180 კვმ, ლოჯია 22 კვმ, აივანი 19 კვმ. ბინას აქვს ბუხარი, ავტომანქანის სადგომი, ორი სარდაფი. ტელ. 36-71-51

სასწრაფოდ იყიდება კეთილმოწ-ყობილი ბინა 4 ოთახი (3X1) ჩარგ-ლის 22. ბ21 ღრმაღელის მეტროსთან, 5X2 საცხოვრებელი ფართი 80 კვმ, ლოჯიით. რკინის კარი, ორი საკუ-ჭნაოთი, ტელეფონით, ფასი შეთანხმე-ბით. ტელ. 60-66-42 გია

იყიდება არასტანდარტული, პრივატიზებული ბინა აბანოთუბანში, იტალიურ ეზოში, საერთო ფართით 55 კვმ, პირველ სართულზე. აქვს სარდაფი, მანქანის დასაყენებელი ადგილი. სამზარეულო და სველი წერტილი საკუთარია. ფასი 10000$ მის. გორგასლის 11. იკითხეთ ლელა.

იყიდება 3 ოთახიანი ბინა გადა-კეთებული 4 ოთახად. ლოჯიით (12 კვმ), რემონტით, სარდაფით. საწყისი ფასი 26000 დოლარი. ტელ. 35-43-55

## ავტომანქანა

ქირავდება ავტომანქანა ფურგო-ნი-მოსკვიჩი. ტელ. 23-18-20

იყიდება ავტომანქანა „ვაზ-2108“ 8 თვის, თეთრი ფერის, რუსეთის ნომრებით. ფასი 6000$ ტელ. 37-35-54

## ქირავდება

ქირავდება 2 ოთახიანი იზოლირე-ბული ბინა, თემქაზე, ავეჯით. არის ბუნებრივი გაზი. ფასი 70 ლარი. ტელ. 60-31-21

ქირავდება უცხოელებზე ან იყ-იდება მაღალჭერიანი 3 ოთახიანი არასტანდარტული, ნათელი კუთხის ბინა. რემონტით, ცხელი წყლით, ავ-ტოსადგომით. 100 კვმ საერთო ფარ-თი. ჭერის სიმაღლე 3.20 სმ. საბურ-თალოს ცენტრში. მეტრო „სამედ-იცინოსთან“. გასაქირავებელი ფასი 600 დოლარი. გასაყიდი 46000 დოლარი. ტელ. 37-17-79 დათო

## სხვადასხვა

იყიდება სასწორები 1 კგ-იანი და ისრიანი. ფასი 80 ლარი. 500 კგ-იანი – ფასი 200 ლარი. ტელ. 38-64-76 დღისით; 66-44-76 საღამოს.

იყიდება 3 წლის კარ-ფანჯარა. 10 კვმ პარკეტთან ერთად. ფასი 400 დოლარი. ტელ. 37-17-79 დათო

იყიდება გერმანული პიანინო „როინიში“, ფასი შეთანხმებით. ტელ. 38-35-59 ნანა

იყიდება ბენზინგასამართი კონ-ტეინერი სრული აღჭურვილობით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 96-19-69; 38-36-47

იყიდება გალვანიზაციის აპარა-ტი. ფასი 50 ლარი. იყიდება ახალი ჩეხური ელექტროგიტარა „იოლანა“. ფასი 70 ლარი. იყიდება ავეჯის ვიტ-რინა. ფასი 100 ლარი. ტელ. 72-40-57

იყიდება ირანული წარმოების ჭურჭლის სამეული (სადილის, ჩაის, ყავის) 12 კაცზე. სულ 93 ნაჭერი. ფასი 350$ ტელ. 23-24-45

შევასწავლი გიტარაზე დაკვრას ნებისმიერი ასაკის მსურველებს. ფასი შეთანხმებით. ტელ. 64-76-77 მაიკო

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას. ტელ. 51-78-59

**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს დაგვირეკეთ ყოველდღე: 93-18-41**

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

## ს

სიდამონიშვილი – 20 (თელავი – 9; თბილისი – 4; რუსთავი – 3);
სიმაშვილი – 44 (თელავი – 28; თბილისი – 12; ლაგოდეხი – 1);
სიმონგულაშვილი – 40 (თბილისი – 25; თერჯოლა – 10; რუსთავი – 1);
სირანიშვილი – 23 (გორი – 9; თბილისი – 14);
სირდაძე – 43 (ზესტაფონი – 36; ოზურგეთი – 4; თბილისი – 1);
სისორდია – 22 (თბილისი – 12; ზესტაფონი – 4; სენაკი – 4);
სისოშვილი – 39 (თბილისი – 20; თიანეთი – 7; გურჯაანი – 6);
სიქთურაშვილი – 34 (ქარელი – 34);
სიხარულაშვილი – 24 (თბილისი – 7; გურჯაანი – 3; თელავი – 2);
სოლოლაშვილი – 24 (თბილისი – 11; გურჯაანი – 7; გორი – 2);
სოლომონაშვილი – 31 (კასპი – 14; თბილისი – 11; გორი – 5);
სომხაძე – 28 (ქარელი – 18; რუსთავი – 3; თბილისი – 3);
სომხიაშვილი – 35 (ლაგოდეხი – 20; რუსთავი – 6; თბილისი – 5);
სონიაშვილი – 33 (თბილისი – 18; დუშეთი – 6; რუსთავი – 5);
სონძია – 39 (ზუგდიდი – 29; სამტრედია – 3; სენაკი – 3);
სოროზანაშვილი – 47 (ოზურგეთი – 22; ქუთაისი – 8; თბილისი – 1);
სოროზანიშვილი – 49 (თბილისი – 16; რუსთავი – 4; ოზურგეთი – 1);
სოსანიძე – 39 (გორი – 18; თბილისი – 8; ბორჯომი – 2);
სოსებაშვილი – 49 (გურჯაანი – 34; თბილისი – 19; გორი – 3);
სოფია – 44 (ზუგდიდი – 12; სენაკი – 11; თბილისი – 6);
სოფრომიძე – 28 (ზესტაფონი – 8; თბილისი – 5; საჩხერე – 3);
სოლოლაშვილი – 36 (გორი – 31; თბილისი – 3; კასპი – 1);
სოხეაძე – 33 (ვანი – 14; თბილისი – 7; ლანჩხუთი – 6);
სოხურაშვილი – 47 (თელავი – 17; ახმეტა – 13; თბილისი – 10);
სტეფანაძე – 35 (თბილისი – 14; ბორჯომი – 7; გარდაბანი – 4);
სტეფანიძე – 35 (თბილისი – 12; გორი – 4; გურჯაანი – 3);
სულაკაური – 45 (თბილისი – 26; ახმეტა – 13; თელავი – 3);
სულეიმანიშვილი – 28 (გორი – 5; თბილისი – 4; თეთრიწყარო – 4);
სუმბათაშვილი – 55 (თბილისი – 25; დუშეთი – 15; ასპინძა – 3);
სუნგულია – 28 (ზუგდიდი – 9; ოზურგეთი – 8; ფოთი – 4);
სუნტიძე – 41 (დუშეთი – 21; დედოფლისწყარო – 16; ახალგორი – 2);
სუსანიძე – 25 (ხელვაჩაური – 25);
სუსიტაშვილი – 35 (გორი – 23; თბილისი – 7; დედოფლისწყარო – 1).


**კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!**



**განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი «მზიური» გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე**

თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში

- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრესტიჟული სამსახურისაკენ

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 („მზიურის“ ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)

☎ 29-48-61, 23-53-17, 29-48-60 ფაქსი: 29-49-61

კომპიუტერული ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით და აღჭურვილია ძლიერი ტექნიკით, გთავაზობთ ჟურნალ-გაზეთების, წიგნების, ნებისმიერი სახის საქმიანი ქაღალდებისა და სხვა სახის ბეჭდვითი პროდუქციის უმოკლეს ვადებში მომზადებას (აწყობა-დაკაბადონება ნებისმიერ ენაზე). გვაქვს ავტონომიური დენის წყარო. მობრძანდით მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით.

**მის: პუშკინის ქუჩა №5 მეორე სართ, ოთახი 207**
**ტელ: 93-19-99 (10-დან 19 საათამდე) ვმუშაობთ ყოველდღე.**


# ჰოროსკოპი
## 6-8 მაისი

**ვერძი** – დაიოკეთ თქვენი აგრესიულობა და ეცადეთ ჩხუბსა და კონფლიქტურ სიტუაციებს მოერიდოთ. მიხედეთ ჯანმრთელობას. სჯობს შეიცვალოთ გარემო, გაისეირნეთ ქალაქგარეთ.

**კურო** – მშვიდობიანი დღეები დაგიდგათ, ენერგიაც გემატებათ. უარი არ თქვათ ნებისმიერ მოგზაურობაზე, თუნდაც იგი სამსახურებრივ მივლინებასთან იყოს დაკავშირებული.

**ტყუპები** – ნუ ჩაერევით კონფლიქტებში. ცხოვრებას ფილოსოფიურად შეხედეთ, მაგრამ ფილოსოფია სმასა და ღრეობაში იშვიათად მოიპოვება. ნუ დაიბნევით, წინ მშვენიერი დღეები გელით.

**კიბო** – მატერიალური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ, პროფესიული მიღწევებიც სახეზეა. მივლინებაზე უარი არ თქვათ, რადგან რომანტიული თავგადასავალი გელით იქ.

**ლომი** – პატარა მგზავრობის შემდეგ ახალი თვალით დაინახავთ ძველ სიყვარულს, აბა თქვენ იცით, ამას ბარაქაც მოაქვს.

**ქალწული** – დაწყნარდით, ნუ ჩხუბობთ! თუ მოთმინებას გამოიჩენთ, საქმიანობაში ფული და წარმატება გელით.

**სასწორი** – მოგზაურობა მატერიალურ დოვლათს და შენაძენს მოგიტანთ, იქნებ აგარაკიც შეიძინოთ, ან გაარემონტოთ. არ გაუშვათ შანსი ხელიდან!

**ღრიანკალი** – დაიოკეთ თქვენი აგრესიულობა, წადით სამოგზაუროდ და მიხედეთ ჯანმრთელობას, გაფრთხილდით!

**მშვილდოსანი** – მოგზაურობაში სიყვარულის დღეები გელით.

**თხის რქა** – თუ არ შეიცვლით ცხოვრების წესს და ნერვებს არ მოუფრთხილდებით, კარგს არაფერს უნდა ელოდეთ, ხოლო აგრესიულობას თუ ჩაიცხრობთ, გელით მატერიალური ჯილდო და საქმიანობაში ახალი ჰორიზონტების მონახვა.

**მერწყული** – ცუდი დღეების შემდეგ ძველი სიყვარული განახლდება, გაისეირნეთ ერთად ბუნებაში და სახლში კი საჩუქარი გელით.

**თევზები** – მატერიალური ჯილდო მოგზაურობის პერსპექტივებს გაგიხსნით თქვენს საყვარელ ადამიანთან ერთად.

# ვინ გვიცავს ჩვენ?

## „ტუპაკ ამარუს“ ფერფლი რუსულ სპეცსამსახურებს გულში ურტყამს

თითქოსდა ვიღაცას ტერორის ერთთვიური გამოუცხადებია. არმავირი, ძეგლის აფეთქება ნალჩიკში, მძევალთა აყვანა ტეხასში უცნაური სეპარატისტების მიერ, ორშაბათს პიატიგორსკის ვაგზალზე მომხდარი აფეთქება – 20 დაჭრილი, 2 დაღუპული, დაღესტნის და ჩეჩნეთის საზღვარზე მომხდარი ღამეული ბრძოლა, სადაც ბევრი დაღუპული და დაჭრილი იყო...

ჯანდაბას ტეხასი, ნეტავ რამე ჩეჩნეთთან ურთიერთობაში გაგვარკვევინა. მასხადოვის ხელისუფლება ელცინის ხელისუფლებამ ცნო. ომი დამთავრდა, მაგრამ იგი გრძელდება.

მინისტრმა კულიკოვმა ბრალი დასდო გროზნოს ხელისუფლებას რუსეთში ტერაქტების მოწყობის მომზადებაში. გროზნოც ჩვეულებისამებრ ლაპარაკობს რუსეთის სპეცსამსახურთა ვერაგობაზე.

ვინ ეომებოდა რუს მილიციონერებს დაღესტნის სამხრეთით – ჯერ კიდევ გაურკვეველია. მოსალოდნელია „დაუმორჩილებლობისა“ და ჩეჩნეთის „ინდიელების“ მესამე ძალის“ შესახებ ყბედობის ტალღის აზვირთება. მიუხედავად ამისა, გაეიდა ინფორმაცია, რომ პირველად ომის დამთავრების შემდეგ ჩეჩნეთში მოხდა „წართმევის“ გეგმის განხორციელება: ჩეჩნეთის მილიციამ გაათავისუფლა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, გამსახურდიას ვაჟი.

მიმდინარე მომენტის ყველაზე მტკივნეული საკითხია: „ვის შეუძლია ჩვენი დაცვა ტერორისაგან? შსს-ს, უშიშროების ფედერალურ სამსახურს, არმიას? არმია სიღარიბითა და გროზნოს დაკარგვის სირცხვილით ნარებქვეშ არის შემძვრალი, უშიშროება გაოცებისაგან მხრებს იჩეჩავს, ხოლო შსს ატარებს მოსკოვის სამთავრობო შენობებისა და კრემლის დაცვისაკენ მიმართულ წვრთნებს. ჩვენ ვილა დაგვიცავს?

ალბათ, მალე ახალ სისხლიან სპექტაკლს გვაჩვენებენ. „ტუპაკ ამარუ“-ს ფერფლი ჩვენს სპეცსამსახურებს გულში ურტყამს. პერუელი კოლეგების წარმატება, საკუთარი იმპოტენციის შეგრძნებაზე გამრავლებული, მწვავე გრძნობებს უღვიძებს მათ. როგორც კი ტერორისტები ჩაგებარდებიან (შეიძლება „ჩაბარების“ ორგანიზებაც,) მათ დიდ ბრძოლას შესთავაზებენ.

მომზადდა „კომსომოლსკაია პრავდა“-ს მასალების მიხედვით

# „კავკასია“ – „რუსთავი-2“-ის კვალზე?..

ორშაბათს, 5 მაისს, ტელეკომპანია „კავკასიის“ შეზღუდული ფართის აპარტამენტებში ჩატარდა პრესკონფერენცია. ორი მხარე, „კავკასია“ და სახელმწიფო ტელევიზიის წარმომადგენლები მწვავე პოლემიკაში ჩაერთნენ. ჟურნალისტებმა მათ დიდსულოვნად დაუთმეს ასპარეზი და ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ამ პაექრობას.

ფაქტი – სამი დღის განმავლობაში შეჩერებულ იქნა „კავკასიის“ მაუწყებლობა. ეთერში ჩოგბურთის მატჩის ტრანსლაციის მოტივით.

საფუძველი – ტელეკომპანია „კავკასიას“ სახელმწიფო ტელეცენტრთან დადებული აქვს იძულებით კაბალური ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც არხის მთავარ დამკვეთად მეორე არხი ითვლება და ამ უკანასკნელს, საჭიროების შემთხვევაში, უფლება აქვს გაეიდეს „კავკასიის“ საეთერო სივრცეში.

სახელმწიფო ტელევიზიას კანონი არ დაურღვევია. აღნიშნული ხელშეკრულების გათვალისწინებით. თუმცა „კავკასიის“ პრეზიდენტი დ.აქუბარდია აცხადებს, რომ კანონებს საკმაოდ კარგად იცნობს და ისეთი კანონიც არსებობს, რომლის მიხედვითაც ზემოთხსენებული კაბალური ხელშეკრულება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. ასეთად მან დაასახელა „კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, სადაც ნათქვამია, რომ აკრძალულია სამეწარმეო საქმიანობაში ვინმესთვის შეღავათიანი პირობების შექმნა და სხვადასხვა სახის უპირატესობის მიცემა.

მათ გაავრცელეს ტელეკომპანიის წერილი საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე, სადაც აღნიშნულია, რომ მომხდარი ინციდენტით შეილახა ტელეკომპანიისა და მაყურებელთა უფლებები, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის 30-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც „სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს თავისუფალ მეწარმეობასა და კონკურენციის განვითარებას“.

პაატა მანძულაშვილი

# რეპორტაჟი ჯოჯოხეთიდან

მეექვსე გვერდიდან

ღმერთის იმედიც მაქვს და მათ თავსაც ვავედრებ ზენაარსს ჩემს კარგა ყოფნაში რომ დამერწმუნებინა, გავიქეც-გამოვიქეცი. მამა უკანასკნელად ვნახე, თუ ის ნახვა იყო! საქართველოში რომ ჩასულა, დარდით ჩალოგინებულა და გარდაცვლილა. მე კი მრავალი წლის განმავლობაში წერილებს ვწერდი. მალე სხვა ბანაკში გადამიყვანეს, როგორც გაქცევაში ეჭვმიტანილი პიროვნება! მოგვიანებით შევიტყვე, რომ მეექვსე მაღარო, სადაც იმდენი უსასოობის ცრემლი მიღვრია, დანგრეულა თუ წყალში ჩაძირულა.

იმ რეგიონში ყველაზე პოპულარული პიროვნება ჩვენი სახელოვანი მწერალი ლევან გოთუა ბრძანდებოდა. აგრეთვე დიდად პოპულარული გახლდათ ბ-ნი დავით კვიტაიშვილი, უფროსი ექიმი, იმ მკაცრი რეჟიმის პირობებშიც კი სარეჟიმო ბანაკის უფროსსაც კი წაუყვანია თავისი ოჯახის წევრების სამკურნალოდ. მეც ძლიერ დავალებული ვიყავი მისგან. ჩემი დედ-მამის წასვლის შემდეგ ულმერთოდ ავად გავხდი, გამაცხელა. რამდენიმე დღე ავად ვიყავი, ვბოდავდი. კლინიკური სიკვდილი მქონდა. ჩემმა თანაშემწე ფერშალმა, მკვდრად მიმიჩნია და ბირკაშებმული მორგში გამათრია. სწორედ იმ ხანად შემთხვევით გოგი ჭიაბრიშვილი და ბ-ნი დავითი მოსულიყვნენ. საწოლი რომ აკეცილი დახვდათ, ფერშალს ჰკითხეს: შალვა სად არისო. იგი წაბარბაცდა, სპირტით შემთვრალიყო და მიუთითა, აგერ იქ მორგშიაო. შეშინებულები მოცვივდნენ. გაშეშებული რომ მნახეს, ცხარე ცრემლები დამადინეს გულზე და სახეზე, და მოხდა სასწაული: თურმე საცოდავად ამოვიკვნესე. ცოცხალია, ცოცხალი – წამოიყვირა ორივემ. დავითმა ჯერ საკუთარი სულთქმა ჩამბერა და ხელოვნური სუნთქვა ჩამიტარა, შემდეგ კი ქაფურის, კოფეინის, კორდიამინის, ლობელინის და სხვა ინექციები გამიკეთა. ექიმი მ.ოძე კი ვიდრე კლინიკური სიკვდილი დამემართებოდა, თურმე ჩემი სტაციონარის წინ დასეირნობდა, ახლად ამოწვერილ ფერმკრთალ ბოლოკებს ათვალიერებდა და კმაყოფილებით ამბობდა: ვაჰ, რა ბოლოკია კაცოო! ისიც შევიტყვე, მისი ტომრები რომ გადავარჩინე, მასში წიგნები კი არა, ნაირ-ნაირ სასუსნავი ჰქონია: ძეხვეული, ორცხობილები, შაშხი, თაფლი, მურაბა, კონსერვები და სხვ.

უნამუსოდ, სულ მარტოს ჩაუხეთქია. მეზობელ ბანაკში ძველისძველი პატიმარი რომან ბლიაძე იმყოფებოდა, რომელმაც ოცი წელი იქ გაატარა პატიმრობაში. ლევან გოთუასთან მეგობრობდა. დიდი ხნის განმავლობაში მის ცოლშვილს არ სცოდნია, რომ იგი ცოცხალი იყო და როდესაც ცოლმა შემთხვევით შეიტყო სად იმყოფებოდა, უმალვე სანახავად გაეშურა, მაგრამ არც მას დართეს მეუღლის ნახვის უფლება. პოპულარული იყო აგრეთვე შესანიშნავი ექიმი გვარად ჯღარკავა, რომელიც ემიგრაციაში ყოფნისას გამოიტაცეს ჩვენმა მარჯვე „ხუნზეივინებმა“. იგი საოცრად ჰგავდა სტალინს. ჩაცმულიც იმგვარადვე იყო. რუსულადაც იმგვარივე აქცენტით ლაპარაკობდა. ჯიუტი, მტკიცე ნებისყოფის და ამაყი კაცი გახლდათ. ერთხელ რომელიღაც უმიზეზოდ დასჯილ პატიმარს გამოექომაგა. ბანაკის უფროსმა უშვერი სიტყვებით გალანძღა: შენი ასე და ისე, შენ ვინ რას გაკითხებსო. მან კი ასე უპასუხა: შენი ასე და ისე და შენი შვილებისაცო. განრისხებულმა უფროსმა რეჟიმის უფროსს გადაულაპარაკა: „ეს ცრუ სტალინი წაიყვანეთ და ერთი კვირა მაინც საპირფარეშოები არეცხინეთ!“ ბელადის ორეულმა კი დინჯად, აუღელვებლად უთხრა: არ მეეჭვება, თქვენი წირვა უსათუოდ მალე გამოვა და მხოლოდ მაშინ გავწმენდავ ყველა საპირფარეშოს, ავავსებ უამრავ კასრებს და თქვენ საფლავებს მოვასხამ! ყველაზე მეტად სადღესასწაულო ზეიმის დღეები გვეჯავრებოდა, გამოგვიყვანდნენ, მწყობრში დაგვაყენებდნენ, გულდასმით გაგვჩხრეკდნენ, აბუჩად აგვიგდებდნენ, ლანძღვა-გინებით აგვიკლებდნენ, საოპერაციო ლანცეტებსა და შპრიცსა და ნესმებსაც კი ჩამოგვართმევდნენ, რომ სასიცოცხლო ჩვენებით ოპერაციის გაკეთებაც კი არ შეგვძლებოდა. „ზაფხულში“ ცას როცა შევხედავდით, უამრავ ფერმკრთალ გათოშილ მზეებს შევნიშნავდით ხოლმე და არვის შეეძლო გარკვეულიყო რომელი იყო ჭეშმარიტი მზე და რომელი მისი ლანდები. უნებურად ნიცშეს სიტყვები გაგახსენდებოდათ: „მრავალი მზე ტრიალებს უდაბურ სივრცეში, ყოველ ბნელს თავისი ნათელი ესიტყვება, ჩემი კი სდუმს...

„ჰეი, ყინულია ჩემს გარშემო, ჩემს ხელს ყინულოვანი სწვავს“. იმ უდაბურ მხარეში ხშირად იმაზე უფრო მკაცრი ზაფხული იცის, ჩვენში რომ მკაცრ ზამთრად მივიჩნევთ ხოლმე. რამ გამაძლებინა იმ სასტიკ თეთრ უდაბნოში და ისიც ისეთ სასტიკ პატიმრობაში? ალბათ რწმენამ და იმედმა! და იმანაც, რომ ტანჯვა-წამებაშიც ვპოვებდი სილამაზეს, იმ ჯოჯოხეთშიც კი. თუნდაც პოლარულ ღამეში ჩრდილოეთის ციალის ხილვა რადა ღირდა, ან იმ ხანმოკლე ტუნდრის ზაფხულისა, საიდანღაც რომ ფრინველები მოფრინდებიან ხოლმე. ბალახი და ყვავილები ზღაპრული სილამაზისანი არიან და ისე მალე, სწრაფად იზრდებიან, სიცოცხლეს ისე ხარბად ეწრაფვიან! ტყვეობაშიც, უკიდეგანო თეთრ უდაბნოშიც შესაძლებელი ყოფილა კაცმა არ დაჰკარგოს იმედი, უყვარდეს, ჰქონდეს რწმენა, იგრძნოს სიცოცხლის სიხარული და ჰქონდეს ბუნებით ტკბობის ნიჭი!

# კაიფვორდი



მდგომიარედ: 1. „ტექნიკური სანიტრების“ რემონტი; 2. „უგულო“ მეგრელის გვარი; 3. დაბეჭდილი ქაღალდი, რომელიც „ბანკში“ ან არ არის და „ან კი“ (6); 5. „ლოტოს“ მოთამაშე ფხვნილი; 6. „ქუთაისის მდინარეში“ ჩავარდნილი „ჰესი“; 7. „ნაკიან“ წელიწადში „ბანზე“ აშენებული დასასვენებელი; 8. „ათასი“ ლიტრა წყლის ტევადობის მდინარე (რუს.კავშ.); 9. თამაში, რომლითაც ერთობიან „არდის“ თანამშრომლები; 12. „მორებზე“ სახუმარო; 18. „ყვავის“ ჩხავილზე შეშინებული „თუთის მჭამელი ბერი“; 20. „ვარდებით“ გასეირნება; 21. „აბურდული“ ქალების ჟურნალი; 22. დაუეჟილი „მანდილოსანი“ (რუს.კავშ.); 23. „გამოდარებული“ რუსი მწერალი; 25. „ორიანების ბარით“ ყომარი ნარდში; 26. „ტაფაჩარტყმული მუსუსი“ თათარი; 28. „ულვაშებიანი“ სინა (რუს.კავშ.).

მიწოლილად: 4. „ლორიანი“ გაზი; 7. „ბულკზე ლიონში“ მისაყოლებელი სუპი; 10. გალში გამოჭედილი უროს ძმაკაცი, რომელიც „ჩვენ“ გვეკუთვნის (რუს.კავშ.); 11. „ტაოში“ წასასმელი საცხი; 13. ფუტკრის „ტარიანი“ ცხვირი; 14. „ტალინში საწინააღმდეგოდ“ გამოჩენილი ნიჭი; 15. „დამაკებული“ საქანელა; 16. „კიბოს“ საფეხურები; 17. „იას და ანას“ რუსი დაქალი; 19. „ვანში“ შეზავებული ტორტის სუნამო; 21. „ბადიანი“ ტკბილი წვენი; 24. „მანდილოსნის“ სეიფი, რომელსაც მგონი აკლია (რუს.კავშ.); 27. „მეორე მუსიკალური ნოტის ვერსია“; 29. „კვარის საწინააღმდეგოდ“ მბრწყინავი ნივთი; 30. ბუკის „ღარიანი“ ძმაკაც-საკრავი; 31. კროსვორდის პერეგონშიკი; 32 „კომისიის“ თავმჯდომარის მაღაზია.

კობა ბაიდოშვილი

## ნინა ნომერში დაბეჭდილი კაიფვორდის პასუხები

მიწოლილად: 5. ბენჭალი; 6. ქორბუდა; 11. ტარტაროზი; 12. რქაწითელი; 13. ვალია; 15. სადღეგრძელო; 19. უხმარი; 23. ექო; 24. საუნა; 25. რაიონი; 26. ლითონი; 27. ოდრი; 28. უთო; 30. ტროლეიბუსი; 32. ბანტი; 33. ქალწული; 34. ტომი.

მიყრდნობილად: 1. გემბანი; 2. ალე; 3. ნოსტრადამუსი; 4. ბაჭია; 7. ბარჯი; 8. აორტა; 9. ფირფიტა; 10. კლოუნი; 14. მლიქვნელი; 16. ღამურა; 17. ძე; 18. მურადა; 20. მარიკონი; 21. რეიტუზი; 22. ძალაყინი; 29. ბუნტი; 31. როლი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444